მესხეთის უნივერსიტეტი

№3-4 (288) მარტი-აპრილი, 2024 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

დიპლომატების ვიზიტი - ერთი მიზნით

21 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით დიდი ბრიტანეთის ელჩი **მარკ კლეიტონი,** რუმინეთის ელჩი **რაზვან როტონდუ** და ნატოს წარმომადგენლობის დიპლომატი საქართველოში **არკადიუს ლეგიე** ესტუმრნენ. სტუმრობის მიზანს სტუდენტებთან, ასევე, აკადემიური თუ ადმინისტრაციული წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათთვის ევროკავშირსა და ნატოზე ინფორმაციის გაცნობა წარმოადგენდა.

გაგრძელება მე-2 გვ.

15 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **მერაბ ბერიძეს** გადაეცა სპეციალური სიგელი.

სიგელით აღინიშნა მისი განსაკუთრებული დამსახურება წლების განმავლობაში ქართული ენის დაცვა-განვითარების საქმეში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს მისი ღვაწლის აღიარებას. უსურვებს კიდევ დიდხანს ემსახუროს სახელმწიფო ენის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ფინანსური განათლების კუთხე უნივერსიტეტში

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში – **რობინ დანიგანი,** 18 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა. ქალბატონმა ელჩმა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ფინანსური წიგნიერების პროექტის – **„ერთობა მრავალფეროვნების მეშვეობით“** – ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში **„ფინანსური კუთხის“** საზეიმო გახსნაში. იგი შეხვდა უნივერსიტეტის სტუდენტებს და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

გაგრძელება მე-2 გვ.

შესრულებული და სამომავლო საქმიანობის ანგარიში

11 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც აკადემიური საბჭოს წევრები და ადმინისტრაციის თანამშრომლები ესწრებოდნენ. განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, რომელთა უმეტესობა ადმინისტრაციის უფროსმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა** წარმოადგინა. მათ შორის – ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე,

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებების შესახებ, უნივერსიტეტში სტაჟირების წესის პროექტის შესახებ.

გაგრძელება მე-4 გვ.

შეხვედრა მსოფლიო დონის მეცნიერებთან

გვ.3

გვ.12

„მაყურებელი და მსახიობები სპექტაკლზე გრძნობებით ურთიერთობენ“

სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობისთვის

გვ.3

წარმატება სტუდენტური ფესტივალის მონაწილეებს!

გვ.6

ერთადერთი მიზნისთვის

გვ.5

სოლომონ ლიონიძის ნაკვალევზე

გვ.8

პირველი გვერდიდან

დიპლომატების ვიზიტი - ერთი მიზნით

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და სტუმრები წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ხვდებიან საქართველოს დიდი მეგობარი ქვეყნების ელჩებს და, ამდენად, შეხვედრა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ასევე, ხაზი გაუსვა ნატოს მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობისა და ნატოს წარმომადგენლობის დიპლომატის საქართველოში სტუმრობის მნიშვნელობას: **ჩემთვის დიდი პატივია, მივესალმო დიდი ბრიტანეთისა და რუმინეთის ელჩების სტუმრობას ჩვენს უნივერსიტეტში. როგორც დიდი ბრიტანეთი, ასევე, რუმინეთი, პარტნიორობის თვალსაზრისით, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ქვეყნებია. ასევე, ნატო ჩვენთვის ის ორგანიზაციაა, სადაც გაერთიანების დიდი სურვილი გვაქვს. ამდენად, განსაკუთრებით მივესალმებით ნატოს წარმომადგენლობის დიპლომატს საქართველოში. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, ბატონი ელჩების სიტყვით გამოსვლის შემდეგ, იყვნენ ღია, თამამად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, დასვან მათთვის საინტერესო კითხვები.**

დიდი ბრიტანეთის ელჩმა **მარკ კლეიტონმა** დამსწრე საზოგადოებას შეახსენა საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის **იენს სტოლტენბერგის** ვიზიტი და აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ. **ჩვენი საელჩო 30 წელია არსებობს საქართველოში და ვამაყობთ ამით.** – აღნიშნა მან. – **ჩვენი საქმეა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოგაწოდოთ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ აქ რუმინეთის ელჩიც იმყოფება, რადგან რუმინეთი ევროკავშირის არცთუ ისე ძველი წევრია და მისი აქ ყოფნა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია. მზად ვართ ვუპასუხოთ ახალგაზრდების შეკითხვებს.**

შეხვედრის მონაწილეთ მიესალმნენ რუმინეთის ელჩი საქართველოში **რაზვან როტონდუ** და ნატოს წარმომადგენლობის დიპლომატი საქართველოში **არკადიუს ლეგიე.**

რაზვან როტონდუ: დღეს აქ ვიმყოფებით ორი ქვეყნის წარმომადგენელი და მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ იმ გზაზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გაიარა ნატომ და ევროკავშირმა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ნატოსი და მას აქვს მისწრაფება ამ ალიანსში გაერთიანების, როგორც ბატონმა მარკმა თქვა, ჩვენც სხვა საკითხებთან ერთად, ამ მისიას ვემსახურებით, რომ ხელი შევუწყოთ ინტეგრაციის პროცესს.

არკადიუს ლეგიე: ნატოსთან პარტნიორული თანამშრომლობა არ ნიშნავს მხოლოდ პოლიტიკურ დიალოგს, ის ბევრ რამეს მოიცავს. ჩვენი სამხედრო ექსპერტები ჩამოდიან და აზიარებენ ცოდნას ადგილობრივ წარმომადგენლობასთან, რათა გააძლიერონ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს გაერთიანებას საქართველოსთან ძლიერი კავშირი აქვს. საქართველომ 20 წელია, რაც განაცხადა თავისი მისწრაფების შესახებ ნატოსადმი და, ასევე, ევროკავშირში გაერთიანებისადმი. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ამ განაცხადს.

შეხვედრაზე დაისვა არაერთი კითხვა. სტუდენტებმა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხები მიიღეს. ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია, ახალგაზრდების როლი ამ პროცესებში, საზღვარგარეთ განათლების მიღების საკითხები, რეგიონული განვითარების პერსპექტივები – ასეთ საინტერესო თემებზე გაიმართა მსჯელობა დიპლომატებსა და შეხვედრის მონაწილეთა შორის.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, ქალაქ ახალციხის ცენტრში მოეწყო დიდი ბრიტანეთისა და რუმინეთის საელჩოების მიერ ერთობლივი ღონისძიება, რომელშიც უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ფინანსური განათლების კუთხე უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

„ფინანსური კუთხის“ გახსნის მიზნით, უნივერსიტეტს, ასევე, ესტუმრნენ MasterCard-ის რეგიონული წარმომადგენლობის დირექტორი **დავით ზღუდაძე** და ეროვნული ბანკის ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ქეთევან ახალკაცი.**

ღონისძიებას დავით ზღუდაძე წარუძღვა. მან აღნიშნა, რომ პროექტი მიზნად ისახავს ფინანსური განათლების ამაღლებას ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, პარალელურად, ფინანსური ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდას, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების გაძლიერებას და ეფექტური ფინანსური მართვისთვის საჭირო ცოდნისა თუ უნარების უზრუნველყოფას. **მიხარია, რომ ეს შეხვედრა შედგა.** – ბრძანა ბატონმა დავითმა. – **მნიშვნელოვანია, საქართველოში ფინანსურ განათლებას შევუწყოთ ხელი. აღნიშნული ინიციატივა დავიწყეთ წინა წლიდან. ნაბიჯ-ნაბიჯ ვავითარებთ პროექტს. მასში ჩართულია ამერიკის საელჩო, იუსაიდის წარმომადგენლობა, ეროვნული ბანკი. ფინანსური განათლება მიზნად ისახავს, გადაჭრას ფინანსური ხელმისაწვდომობისა და წიგნიერებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ამდენად, უნივერსიტეტში „ფინანსური კუთხის“ გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა.**

რობინ დანიგანმა ყურადღება გაამახვილა რეგიონში სამდღიანი ვიზიტისა და სამცხე-ჯავახეთში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. ისაუბრა ამერიკის საელჩოს მიერ განათლების მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ და ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი: **გამიმართლა, რომ საქართველოში წარმოვადგენ ამერიკის ელჩს, რადგანაც ამერიკელებს უყვართ საქართველო და ძალიან ეხმარებიან ქართველებს. ამის მიზეზია საერთო ღირებულებები, ასევე, სწრაფვა დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ. ამერიკის საელჩოს ინტენსიური თანამშრომლობა აქვს განათლების მიმართულებით. საელჩო ახორციელებს არაერთ საინტერესო პროექტს, რომელშიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აქტიურადაა ჩართული. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტს აქვს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა.**

ქეთევან ახალკაცმა ყურადღება გაამახვილა ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური განათლების საკითხებში შეტანილ წვლილზე და სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან პროექტის დაწყებას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა: **ჩემთვის დიდი პატივია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნა. სამცხე-ჯავახეთი გამორჩეული რეგიონია თავისი კულტურული ტრადიციებით, ისტორიით და სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო ეს პროექტი. განათლებაა ის, რაც ადამიანებს გვაძლევს თავისუფლებას, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ სწორ დროს სწორი არჩევანი გავაკეთოთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება ფინანსურ გადაწყვეტილებას. ამიტომ, „ფინანსური კუთხის“ გახსნას უნივერსიტეტში დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთობლივი შრომით დიდ შედეგს მივაღწევთ.**

მაკა ბერიძემ უნივერსიტეტის შესახებ გააკეთა მოკლე ექსკურსი, რომელიც ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობის ისტორიასთან ერთად წარმოადგინა. მადლობა მოახსენა ელჩს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ვიზიტისა და ამ რეგიონის მიმართ გამოხატული დამოკიდებულებისათვის. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის ხნისაა. ასევე, მიესალმა უნივერსიტეტის დამაარსებელსა და მის პირველ რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს. **არ ყოფილა უნივერსიტეტში განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკელი ხალხის თანადგომა რომ არ გვეგრძნო. უნივერსიტეტს აქვს ერთი სპეციფიკა – მრავალფეროვანია ჩვენი რეგიონი. ჩვენი ყველა საგანმანათლებლო ნაბიჯი ხელს უწყობს არა მხოლოდ ამა თუ იმ სფეროს განვითარებას, არამედ მოსახლეობის ინტეგრაციასაც. უნივერსიტეტს გვეძლევა საშუალება, ჩვენი მესამე მისიის ფარგლებში, სრულად ვუპასუხოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გამოწვევებს და ჩვენი სტუმრები, ამ შემთხვევაში, ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ.** – აღნიშნა რექტორმა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ღონისძიების დასრულების შემდეგ, ელჩთან შეხვედრა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაგრძელდა, სადაც რობინ დანიგანმა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ დასმულ არაერთ კითხვას უპასუხა.

გვერდი მოამზადა
ლიკა ზაზაშვილი

სტუმარი არდაჰანის უნივერსიტეტიდან

25 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაოფიციალური ვიზიტით, ესტუმრა არდაჰანის უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი **დოღან სალთაში.**

სტუმარი მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ.** შეხვედრას ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი,** ასოცირებული პროფესორი **მაკა შონია,** საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი **გურანდა მოდებაძე.**

რექტორმა სტუმარს გააცნო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია, საქმიანობა, ისაუბრა გაცვლით პროგრამებზე, ასევე, ამ პროგრამებში სტუდენტების ჩართულობაზე. თავის მხრივ ბატონმა დოღან სალთაშმა მასპინძლებს ინფორმაცია მიაწოდა არდაჰანის უნივერსიტეტის შესახებ, არდაჰანელთა ჩართულობაზე „ერასმუს პლუსის“ პროგრამაში. მხარეებმა სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობისათვის მზაობა გამოთქვეს.

შემდეგ, ბატონი დოღანი შეხვდა თურქული ენისა და ლიტერატურის პროგრამის სტუდენტებსა და ლექტორებს. ისაუბრა არდაჰანის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. გამოთქვა იმედი, რომ ამ ორ უნივერსიტეტს შორის მომავალი თანამშრომლობა აქტიურად განვითარდება და ამაში წვლილი სტუდენტებმაც უნდა შეიტანონ.

შეხვედრებმა, რომლებმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა და გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, მოამზადა ნიადაგი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არდაჰანის უნივერსიტეტს შორის ახალი საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებისთვის.

შეხვედრა მსოფლიო დონის მეცნიერებთან

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო დონის პროფესორებთან – **რევაზ ჭიღლაძესთან** და **რაგული (შოთა) ინასარიძესთან** შეხვედრით გაიხსნა **„ფიზიკა-მათემატიკის კვირეული“** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 25 მარტს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ფიზიკის პედაგოგები და მოსწავლეები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები შეიკრიბნენ. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე: გარდა მეცნიერებთან შეხვედრისა, დღევანდელი შეხვედრის ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ სკოლებში მოღვაწე ფიზიკის პედაგოგებს ვუთხრათ მადლობა. ასევე, მივესალმოთ ფიზიკაზე შეყვარებულ მოსწავლეებს, რომლებიც დღეს უნივერსიტეტში მოვიდნენ. მივესალმებით ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, რომლებიც წლების განმავლობაში ემსახურებიან ფიზიკა–ასტრონომიის განვითარებას და დღეს ჩვენ ვხვდებით ორ მათგანს, მსოფლიო დონის დიდ მეცნიერებს.**

რექტორმა საზოგადოებას გააცნო ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც რეგიონში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტი გაიხსნა და აქ მოღვაწეობა პროფესორებმა – რევაზ ჭიღლაძემ და რაგული ინასარიძემ დაიწყეს. ასევე, საზოგადოებას მოუთხრო მათი საქმიანობისა და დამსახურებების შესახებ: **2023 წელს, ნიუ-იორკში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, ფიზიკა-მათემატიკის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრად არჩეულ იქნა ბატონი რევაზ ჭიღლაძე, ხოლო 2023 წლის 26 ივნისს, საერთაშორისო ასტრონომიული საბჭოს გადაწყვეტილებით, ასტეროიდს ნომრით 32481, რაგული (შოთა) ინასარიძის სახელი მიენიჭა. გვინდა, ხმამაღლა ვუთხრათ, რომ ვხედავთ მათ შრომას, ვაფასებთ მათ, გვჭირდებიან და გვეიმედებიან.**

პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** გაიხსენა ყველა ის ადამიანი, რომლებიც ქმნიდნენ უნივერსიტეტის ისტორიას. აღნიშნა, რომ ასტრონომებს უცნაური ცხოვრება აქვთ. ღამე შრომობენ, ზეცას უყურებენ. ღამე ხდება სტატიების წერა. ამდენად, ბატონი რევაზისა და ბატონი შოთას წარმატების მიღმა თავდაუზოგავი შრომაა ჩადებული: **ჩვენ ერთად ვქმნიდით საუნივერსიტეტო საქმეს ჩვენს მხარეში. იმედი გვქონდა, რომ გავიმარჯვებდით. იმედი გვქონდა, რომ დადგებოდა დღევანდელი დღე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს ამ ორ ადამიანს. როდესაც რთული პერიოდი იყო, სწორედ, ასტრონომიის, ფილოლოგიის პროგრამებმა განსაზღვრეს ჩვენი უნივერსიტეტის არსებობა.** ვეფერები მე ჩემს უახლოეს მეგობრებს. 35 წლის განმავლობაში ვართ ერთად. ვულოცავ მათ ყველა დიდი წარმატებას. – აღნიშნა ბატონმა მერაბმა.

დღეს ჩემთვის ორ უძვირფასეს კოლეგასთან შეხვედრაა და ამისთვის მინდა მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. ამ ორი დიდი პროფესორის ღვაწლი, კოლეგებთან ერთად, დიდია უნივერსიტეტის განვითარების საქმეში. ვულოცავ მათ სამეცნიერო მიღწევებს და მინდა ვუსურვო წარმატებები. – აღნიშნა რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, პროფესორმა **ნიკოლოზ ახალკაცმა.**

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა** მიულოცა ბატონ რევაზს და ბატონ რაგულის მათ მიერ მიღწეული ყველა წარმატება და შემდეგი განაცხადა: **დღეს მნიშვნელოვანი დღეა. სწორედ ასეთი შეხვედრები ქმნიან უნივერსიტეტის ისტორიას. უნივერსიტეტის არსებობის 35 წელი წარმატებული იყო და სწორედ, ასეთი ადამიანების მხრებზე დგას ეს წარმატება. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.**

რევაზ ჭიღლაძისა და შოთა ინასარიძის მოღვაწეობაზე ისაუბრეს ასოცირებულმა პროფესორებმა **ნატო ყრუაშვილმა** და **რაისა ხაჩატურიანმა**, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა,** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **ლევან მაკარაძემ,** დოქტორანტმა **მაია თათეშვილმა,** ჭვინთის საჯარო სკოლის პედაგოგმა **გიორგი გაგნიძემ.**

ღონისძიების დასასრულს, რევაზ ჭიღლაძემ და რაგული ინასარიძემ დამსწრე საზოგადოებას მადლობა მოახსენეს მათი საქმიანობის დაფასებისთვის, ასევე, ისაუბრეს თავიანთ განვლილ გზაზე. ბატონმა რაგულიმ საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია **„დედამიწა და შეჯახებითი ასტეროიდების დაკვირვება აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში“. თუ გაქვს შენი სპეციალობის მიმართ სიყვარული, პასუხისმგებლობა, ყველაფერი გამოგივა.** – აღნიშნა მან. – **თუ ადამიანს უყვარს მუშაობა, ყველაფერს მიაღწევს. დიდი მადლობა ყველას, რომ ასეთი შეხვედრა შედგა.**

ბატონმა რევაზმა გაიხსენა უნივერსიტეტში მოსვლის ისტორია. ისაუბრა საქართველოში ტექნიკურ დარგებში სპეციალისტთა ნაკლებობისა და ამ სფეროში არსებული პრობლემების შესახებ, ღონისძიებასთან დაკავშირებით კი შემდეგი განაცხადა: **ულამაზესი შეხვედრა შედგა. დღევანდელი დღისთვის ღირდა ჩემი ამ უნივერსიტეტში მუშაობა. უღრმესი მადლობა ყველას.**

ღონისძიების დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა რევაზ ჭიღლაძე და შოთა ინასარიძე, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, ასტრონომიის მიმართულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უნივერსიტეტის მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

ლიკა ზაზაშვილი

სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობისთვის

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი**, 19 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა და მერიის სტიპენდიანტებსა და უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლის „მესხეთის უნივერსიტეტის“ წევრებს შეხვდა. ღონისძიება გახსნა და სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეკრებილ ახალგაზრდებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე: სტუდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მერთან შეხვედრას. გვინდა ერთ რამეს გავუსვათ ხაზი – საზოგადოებას, ზოგადად, მადლიერების დაფასების დეფიციტი გვაქვს ხოლმე და დღევანდელი შეხვედრით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება კეთილი საქმეების მიმართ. შევიკრიბეთ, რომ აღვნიშნოთ – ახალგაზრდებისთვის თუ კი რამ კარგი საქმე გაკეთებულა, ვხედავთ და უკვალოდ არ იკარგება.**

ღონისძიებაზე მყოფმა უნივერსიტეტის ანსამბლის – „მესხეთის უნივერსიტეტი“, ხელმძღვანელმა და მოცეკვავეებმა მადლობა მოახსენეს ქალაქის მერს ესპანეთში, XII საერთაშორისო ფესტივალზე გამგზავრების სრულად დაფინანსების გამო და აღნიშნეს, რომ მათ ახალციხის მერიის დახმარებით ბევრი დაუვიწყარი დღე ჰქონდათ.

ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტსა და მერიას შორის ამგვარი ურთიერთობა. სტუდენტები ფესტივალზე წარმატებულად წარსდგნენ. იქ ჩვენი ქალაქის შესახებ გავავრცელეთ სარეკლამო ბუკლეტები. ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციისათვის ასეთი გასვლები მნიშვნელოვანია. მინდა, თითოეული ჩემი მოსწავლის სახელით გითხრათ მადლობა გვერდში დგომისთვის. – აღნიშნა ანსამბლის ქორეოგრაფმა **ქრისტინა მენაბდიშვილმა.**

მან ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის ტრადიციაზე – ჰყავდეს ქორეოგრაფიული ანსამბლი და მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის რექტორს, რადგან ბევრ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, გადადგას ცეკვაში, თუნდაც, პირველი ნაბიჯები. ქრისტინამ უნივერსიტეტის რექტორს გადასცა ფესტივალიდან ჩამოტანილი სიგელი, რომელიც ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წარმატებული მონაწილეობისათვის მიიღო.

შეხვედრისას სტუდენტებმა ისაუბრეს თავიანთ საჭიროებებზე, მერს გააცნეს იდეები და მოსაზრებები. უნივერსიტეტის ანსამბლის მოცეკვავეებმა გაიხსენეს ის შთაბეჭდილებები, რომელიც ესპანეთიდან გამოჰყვათ. აღნიშნეს, რომ მათ ოცნებები აუხდათ. სათქმელი ჰქონდათ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიატებსაც.

აღსანიშნავია, რომ მერიაში წარმატებით მუშაობს პროგრამა **„ახალციხის მერიის სტიპენდიანტები წარჩინებულ სტუდენტებს“** და ამ პროგრამის საფუძველზე მერიის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდიები ეძლევათ.

არაერთგზის ვიყავი მერიის სტიპენდიატი. ეს არ არის მხოლოდ ის, რომ ფულად წახალისებას ვიღებთ, ეს არის ურთიერთობები უნივერსიტეტისა და მერიისა, რაც სტუდენტებს გვაძლევს შესაძლებლობას, ავიმაღლოთ მოტივაცია. ეს ჯილდო გვაძლევს შანსს, ვიყოთ უკეთესები. – აღნიშნა ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტმა **ქეთევან ასპანიძემ.**

თავის გამოსვლაშია ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებისთვის მხარდაჭერა მერიის პირდაპირი ვალდებულებაა და სტუდენტებისთვის სტიპენდიებით წახალისება სამომავლოდაც გაგრძელდება. ასევე, მან ახალგაზრდებს ამომწურავად მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებზე, ზოგადად, თემში არსებულ მდგომარეობაზე, სამომავლო ხედვებზე და პრიორიტეტებზე.

მადლობა ქალბატონ მაკას დღევანდელი შეხვედრისთვის. ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ მოქალაქეს, ვინც მომცა ხმა და მომცა შესაძლებლობა, რომ ეს საქმეები ვაკეთო ჩემს დიდ გუნდთან ერთად. ჩვენ გავითვალისწინეთ არა მხოლოდ უნივერსიტეტისა და მისი ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელშეწყობა, გამგზავრებულიყვნენ ფესტივალზე, არამედ მნიშვნელოვანი იყო მათი სახით გვყოლოდა დესპანები ჩვენი ქალაქის, ჩვენი კუთხის უცხოელთათვის გასაცნობად. გვაქვს ბევრი მიზანი და გეგმა, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებას. – აღნიშნა ბატონმა ირაკლიმ.

ღონისძიებაზე ხაზგასმით აღინიშნა უნივერსიტეტსა და მერიას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ და ითქვა, რომ ეს ურთიერთობა სამომავლოდაც წარმატებით გაგრძელდება.

ჩვენი კორესპონდენტი

შესრულებული და სამომავლო საქმიანობის ანგარიში

პირველი გვერდიდან

სხდომაზე მოსმენილ იქნა უნივერსიტეტის იურისტის თამარ ხოსიტაშვილის წარმოდგენილი საკითხი, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესში ცვლილებების შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

სხდომაზე ძირითად საკითხად განხილული იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში. წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში და გაწეული მუშაობისთვის მადლობა გამოუცხადა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, ბატონ როინს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ბატონო როინ, როგორ შესრულდა გასული წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სამუშაოები?

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება მიმდინარეობდა დამტკიცებული ფინანსური გეგმის ბიუჯეტის შესაბამისად. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა ეკონომიკური, საბიუჯეტო, საგრანტო და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

ბიუჯეტის ფარგლებში შეძენილ იქნა კომპიუტერები და განახლდა რამდენიმე კლას-ლაბორატორია, აუდიტორიები აღიჭურვა მონიტორებით, პროექტორებითა და სმარტდაფებით. ამ მიმართულებით, 2024 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, კვლავ გაგრძელდება კომპიუტერული ტექნიკის განახლება. ახალქალაქში მდებარე მეოთხე კორპუსის კლას-ლაბორატორიები აღიჭურვა ახალი დგამავეჯით და კომპიუტერული სისტემით; მოეწყო ბიბლიოთეკა; საკონფერენციო დარბაზი აღიჭურვა ვიდეო-საკონფერენციო სისტემით; პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის გამოიყო საერთო საცხოვრებლის მეორე სართული, რომელიც გათვალისწინებულია 50 სტუდენტზე და სრულად აღიჭურვა; ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკის მოსაწყობად ჩატარდა სარემონტო სამუშაოები სამ ლაბორატორიულ ოთახში; მოეწყო საკანალიზაციო და წყლის სისტემა; მეორე სასწავლო კორპუსში გაკეთდა არტერიული ჭა (62 მეტრზე მოხდა მისი გათხრა), რამაც საშუალება მოგვცა, გვქონდეს მუდმივი წყალმომარაგება; მეორე სასწავლო კორპუსში განხორციელდა სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაო; პირველ და მეორე კორპუსში მოეწყო გარე სახანძრო წყალმომარაგების სისტემის სახანძრო ჰიდრანტები; პირველ კორპუსში განხორციელდა კიბის უჯრედებზე დაშენებული ოთახების დემონტაჟი და შეიცვალა საევაკუაციო გეგმები.

დაფინანსდა სტუდენტური თვითმმართველობის და ცალკეული სტუდენტების აქტივობით დაგეგმილი ღონისძიებები, როგორიცაა – საველე პრაქტიკა, შემეცნებითი ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული ღონისძიებები, სტუდენტური საღამოები, უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლის ფესტივალებზე მონაწილეობა, ზამთრისა და საზაფხულო სკოლების აქტივობები, სტუდენტური კონფერენციები, პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა ღონისძიებები. არის კიდევ შესრულებული ბევრი სამუშაო, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

– რა პრიორიტეტები განისაზღვრა 2024 წლის ბიუჯეტში?

– უნივერსიტეტში, სწავლასთან ერთად, განსაკუთრებული როლი ენიჭება სამეცნიერო კვლევებს. ამიტომ, კვლევებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2024 წლის ბიუჯეტში, ეს მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა. ასევე, დაგეგმილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

– მადლობა, ბატონო როინ.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„ავსტრიის კუთხე“ საინტერესო აქტივობებით

ლალი ბერიძე
ასოცირებული პროფესორი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ავსტრიის კუთხე“** მორიგი აქტივობით წარსდგა მკითხველთა კლუბისა და მოწვეული საზოგადოების წინაშე. ამჯერად მათ გასული წლის სექტემბერში ავსტრიის საელჩოს მიერ ბათუმში ჩატარებული **„ავსტრიული ლიტერატურის შაბათ-კვირის“** პრეზენტაციები წარმოადგინეს გერმანულ- ქართულ ენაზე.

წარმოდგენილი იყო ორი პრეზენტაცია: **დაუსწრებელი მოგზაურობა ზემო ავსტრიაში** (მომხსენებელი – ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, ახალციხის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე **სალომე გვამბერიძე)** და ავსტრიელი მწერლის ლუდვიგ ლაჰერის ნაწარმოების – **„ლუდვიგ ამადეუს უმცროსი: როგორია მოცარტის შვილობა“** (მომხსენებლები: სჯსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტები – **რიტა გრიგორიანი** და **სალომე წიქარიშვილი)**.

შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა. სალომე გვამბერიძემ დამსწრენი გვამოგზაურა ზემო ავსტრიაში, ფედერალური მიწის ქალაქებისა და ბუნებრივი და ისტორიული მნიშვნელოვანი ძეგლების ულამაზესი კადრებით. მიმოხილვაში გამოკვეთილი აქცენტები ავსტრიელთა მიერ საკუთარი ქვეყნის დიდ სიყვარულსა და მასზე ზრუნვას ეხებოდა.

რიტა გრიგორიანი თავის წარდგინებაში შეეხო ზემო ავსტრიელი ავტორის, ლუდვიგ ლაჰერის მოკლე ბიოგრაფიას, მის მოღვაწეობას და მის წიგნს – „ლუდვიგ ამადეუს უმცროსი: როგორია მოცარტის შვილობა”. მან განიხილა ნაწარმოები, რომელიც ცნობილი მამის სეხნია შვილის ცხოვრებას ეძღვნება: ამ ნაწარმოების არჩევა განაპირობა სამმა ფაქტორმა, – აღნიშნა მან, – პირველი გახლდათ ბათუმური „შაბათ-კვირის“ პირობა – უნდა აგვერჩია ჩვენ მიერ წარსადგენად შერჩეული ფედერალური მიწის წარმომადგენელი ავტორი. მწერლის არჩევისას არც ისე უმნიშვნელო სტიმული გახლდათ ის, რომ ეს ავტორი, 2016 წელს, შეხვედრაზე იმყოფებოდა ჩვენს უნივერსიტეტში, როდესაც მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ ერთი ენა – სამი ქვეყანა“ . ჩვენ ვიცით მის შესახებ ქალბატონ ლალი ბერიძისგან, რომელსაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ავტორთან.

დამერწმუნებით, უცხოური ენის A 2 დონეზე ფლობის შემთხვევაში საკმაოდ რთულია მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილად გაგება. ამიტომ, ჩვენ ავარჩიეთ ნაწარმოები, რომელიც ქართულადაა თარგმნილი. ეს გახლავთ ამ წიგნის არჩევის მეორე არგუმენტი. მესამე და მთავარი მიზეზი იყო წიგნის ფრიად მომხიბლავი თემა. დედააზრი ამ წიგნისა ასე შეიძლება მოკლედ გადმოვცეთ – „დიდი მამების ჩრდილში ნიჭიერი შვილებიც შეიძლება დაიკარგონ“.

მან მიმოიხილა ნაწარმოები და ისაუბრა ამ ნაწარმოების ქართული თარგმანის შესახებ, რომელიც ზურაბ აბაშიძეს ეკუთვნის და გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: **ბედნიერებაა, როდესაც ცნობილი მამა გყავს, მაგრამ ბევრად უფრო ბედნიერად გრძნობ თავს, როდესაც შენც გაღიარებენ და საკუთარ გვერდს წერ ისტორიაში შენი ცხოვრებით. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება.**

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და ღონისძიება შეაჯამეს პედაგოგმა **ნელი ლომიძემ**, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში – **მერაბ ბერიძემ,** ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა – **გულიკო ბექაურმა** და ამავე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა **მაია ქუქჩიშვილმა.** მათ მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს და აღნიშნეს ღონისძიების მნიშვნელობა შესასწავლი ენის კულტურის შესწავლის მიზნით.

მერაბ ბერიძე: მადლობა ორგანიზატორებს. თავდადების გარეშე არცერთი საქმე არ კეთდება. როდესაც ჩვენ ადრე უცხო ენათა ფაკულტეტი გვქონდა, გერმანული ცალკე ისწავლებოდა. ამ ენის სიყვარული იქიდან მოგვდევს გარკვეულ ბაზად. სწორედ ამ გზით უნდა ვიშრომოთ. ლუდვიგ ლაჰერი აქ რომ ბრძანდებოდა, თავი თავისი უბრალოებით და მაღალი პროფესიონალიზმით დაგვამახსოვრა. თურმე, ავსტრიის კუთხე არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენ ავსტრიის შესახებ გვქონდეს ინფორმაცია და ბევრი სიახლე შევიძინოთ. მე დღეს ის შევიძინე, რომ თითოეულმა ჩვენმა სტუდენტმა უნდა იცოდეს თავისი მხარის დედაქალაქები, პატარ-პატარა ქალაქების საინტერესო ისტორიები. ვფიქრობ, ეს ჩვენი მომავალი ღონისძიებების ინსპირირების წყარო იქნება.

გულიკო ბექაური: მადლობა დღევანდელი დღისთვის. ამ შეხვედრის დროს ვიგრძენი, რომ გვჭირდება ასეთი ღონისძიებები. გამიჩნდა სურვილი, რომ გერმანულ ენაზე გაკეთდეს ჩვენი კუთხის შესახებ პრეზენტაცია და სტუმრებსაც შევთავაზოთ ჩვენი კუთხის ისტორია. მადლობა პრეზენტატორებს ასეთი საინტერესო პრეზენტაციებისათვის.

ნელი ლომიძე: დიდი სიამოვნება მივიღეთ დღეს ამ ღონისძიებით. დარწმუნებული ვარ, დამსწრე საზოგადოებაც იმავეს გრძნობს. იმ პირობებში, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტში გერმანული ენა ისწავლება მხოლოდ როგორც უცხოური ენა და აღარ გვაქვს საბაკალავრო ან დამატებითი პროგრამები, მით უფრო გასახარელია, რომ ახალგაზრდებმა და ქალბატონმა ლალიმ ამ დონის ღონისძიება შემოგვთავაზეს. მადლობა ქალბატონო ლალი, ახალგაზრდებო, თქვენ მადლობა. სასიამოვნოსთან ერთად, საინტერესოც იყო, რადგან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ.

მაია ქუქჩიშვილი: მადლობა, ქალბატონო ლალი. ყოველთვის იგრძნობა თქვენი სიყვარული და გულისწადილი გერმანული ენის მიმართ. ბევრმა ტოპონიმმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და საინტერესოა, რომ ჭარბობდა „სანკტ“ ამ სახელებში – „წმინდა“ ანუ დაკავშირებული არიან ქრისტიან წმინდანებთან. რაც შეეხება ნაწარმოებს, მინდა ვთქვა, რომ ბევრი დიდი ხელოვანი მოექცა ცნობილი მშობლების ჩრდილქვეშ და ეს თემა, უცნობი ტალანტებისა, ფრიად საინტერესოა მკითხველისათვის.

მე ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ მეხუთე კლასიდანვე, როგორც კი დავიწყეთ უცხოური ენის შესწავლა, მოვინამლე გერმანული ენით და დღემდე მოდის ასე. მადლობა სტუდენტებს – რიტა გრიგორიანს, სალომე წიქარიშვილს და ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეს – სალომე გვამბერიძეს, რომ მათ გამოიჩინეს ასეთი დაინტერესება და მოვამზადეთ ასეთი წარდგინებები. ბათუმში მათ ეს გერმანულ ენაზე წარმოადგინეს და მინდა აქ შევაქო, რომ სათანადოდ წარმოაჩინეს ჩვენი უნივერსიტეტი და ავსტრიული კუთხე.

ზოგადად, მისი უდიდებულესობა ავსტრიის ელჩი საქართველოში, ბატონი თომას მიულმანი, ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობის პერიოდში, ეწევა აქტიურ შრომას კულტურულ სფეროში, ატარებს მრავალ საინტერესო ღონისძიებას, რამაც გერმანული ენით დაინტერესებული ახალგაზრდობა და პედაგოგები ერთი საერთო ავსტრიული კულტურის „მარათონში“ ჩაგვაბა. აქვე უნდა აღვნიშნო ავსტრიული კულტურის ცენტრის, ქალბატონ **მზია გალდავაძის** დამსახურება, რომელიც წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის წამომწყები და ინიციატორია. ეს ადამიანები გაყვარებენ გერმანულენოვან კულტურას, არ გვაცლიან მოდუნებას. მინდა, რომ ჩვენი კულტურაც ასევე შეაყვაროთ, ახალგაზრდებო, უცხოელებს თქვენი ცოდნით, თქვენი საქციელით, კულტურით.

ჩემი შეჯამება მინდა დავასრულო ლუდვიგ ლაჰერის ლექსით:

„წლები მოდიან, წლები მიდიან
წლებში შევდივართ და... მივდივართ...“

თქვენ კი მოდიხართ, ახალგაზრდებო, თქვენ მინდა იყოთ რეალიზებული, თქვენი ნიჭისა და შრომის შედეგით ბედნიერი და მომავალი საქართველოს ღირსეული შვილები.

ერთადერთი მიზნისთვის

22 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ოფისის თანამშრომელთა ჯგუფი: ოფისის ხელმძღვანელი **ანდრეას ჰილგერი,** ასისტენტი **დავით ჯიშკარიანი** და დოქტორი **ოლივერ რაისნერი.**

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე.** მან ისაუბრა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანსაღი თანამშრომლობა ყოველი დასახული მიზნის მისაღწევად, თუ რამდენად საჭიროა აზრთა გაცვლა და სწორი კომუნიკაცია. ხაზი გაუსვა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივა და მშვიდობიანი გზა ერთობისკენ.

სტუდენტებს მიესალმნენ და ღონისძიების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, **გულიკო ბექაურმა,** რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** ა(ა)იპ ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოება „ერთობა ხვალისთვის“ ხელმძღვანელობამ – ბატონმა **გიორგი შერვაშიძემ** და ქალბატონმა **შორენა ახალაიამ.**

მსმენელების წინაშე პრეზენტაციით წარსდგნენ უნივერსიტეტში დაფუძნებული აფხაზური ცენტრის **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** წევრები და გაწეულ მუშაობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

აღნიშნული შეხვედრა სწორედ ის შესაფერისი შანსი იყო, რომელიც საერთო მიზნისაკენ, ერთიანობისა და მშვიდობისაკენ მიმავალ გზაზე საერთაშორისო ჩართულობას მოიაზრებს. შეხვედრის მეორე ნაწილი დამსწრე სტუდენტებს, ლექტორებსა და პროფესორებს შორის აზრთა გაცვლასა და მსჯელობას დაეთმო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

აფხაზური ცენტრის არსებობა და საქმიანობა დადებითად შეაფასეს სტუმრებმაც და აღნიშნეს, რომ ეს ერთი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია, რამეთუ ყველაზე მთავარი, მზაობა და მონდომება, სიყვარული და ახალგაზრდული შეუდრეკლობა, უკვე სახეზეა.

ძალიან საინტერსო პრეზენტაცია წარმოგვიდგინა მაქს ვებერის ოფისის ხელმძღვანელმა ბატონმა **ანდრიას ჰილგერმა** და დოქტორმა **ოლივერ რაისნერმა.** უაღრესად საინტერესოა კვლევები, რაზეც მუშაობს მაქს ვებერის ფონდი, საქართველოსა და გერმანიას შორის ისტორიისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების განვითარებისთვის. სწორედ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა კონკურსი მაქს ვებერის ფონდმა და ვფიქრობ, თითოეული სტუდენტისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, მიიღონ მონაწილეობა.

სტუდენტებმა მოისმინეს ანდრეას ჰილგერის პრეზენტაცია მაქს ვებერის ფონდის მიერ საქართველოში კვლევითი სტიპენდიების მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ფილიალი იწყებს განცხადებების მიღებას ერთ და ორთვიან სტიპენდიაზე 2024 წლის 1 მარტიდან 31 ივლისის ჩათვლით გერმანიის არქივებში, ბიბლიოთეკებსა და კვლევით ინსტიტუტებში კვლევის განხორციელების მიზნით. 2023 წელს, მაქს ვებერის ფონდმა დააარსა ახალი ფილიალი საქართველოში, რათა ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიისა და გერმანიას შორის ისტორიის და მასთან დაკავშირებული დისციპლინების განვითარებისთვის და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით: **მოხარული ვარ და ფრიად სასიამოვნოა, რომ ქართულ - აფხაზური ურთიერთობებით დაინტერესებულია ყველა, განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა. ზღვა ემოციებით ვიყავი სავსე, რადგან „აფხაზეთი არ არის მივიწყებული“, პირიქით, ნამდვილად იწვევს მასთან დაკავშირებული საკითხები ინტერესს.**

მარიამ გელაშვილი: მე, როგორც „აფხაზური ცენტრის“ თავმჯდომარის მოადგილე, მთელი გულისყურით ვარ ჩართული ყველა იმ გადასადგმელი ნაბიჯის დაგეგმვაში, რომლებიც ჩვენი საოცნებო ერთობის მომასწავლებელია. გვსურს, აფხაზ თანატოლებს მივაწვდინოთ ჩვენი ხმა და გავუწოდოთ მეგობრობისა და ერთობის ხელი .

როგორც აფხაზურ ცენტრში აღნიშნავენ, მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს უფრო მეტი თანამოაზრისა და შესაძლებლობის გაჩენას იმ მიზნისკენ სვლაში, რომელსაც აფხაზი და ქართველი და-ძმების ერთობა ჰქვია. ორგანიზაციის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ წევრები დიდ მადლიერებასა და ბედნიერებას გამოხატავენ აღნიშნული შეხვედრის, როგორც შესაძლებლობის მიმართ.

რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
მე-3 კურსის სტუდენტი

ევროკავშირი და საქართველოს სამართლებრივი ევროპეიზაცია

22-24 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგი **„ევროკავშირი და საქართველოს სამართლებრივი ევროპეიზაცია“.** სამდღიანი ტრენინგი მომზადდა კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ერასმუს+ - ის ჟან მონეს მოდულის ფარგლებში **„სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“** (Jean Monnet Module: 101084764 — EU-LP-GE).

მოდული მიზნად ისახავს ევროპული სწავლების გაძლიერებას საქართველოში, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით რეგიონული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცოდნის გაძლიერებას.

ტრენინგის ფარგლებში, პროფესორები – **ეკატერინე ქარდავა** და **გურანდა ჭელიძე,** შეეხნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა, ასოცირების შეთანხმება, სამართლებრივი აპროქსიმაციის არსი, ევროკავშირის დაფუძნება და გაფართოება, ევროკავშირის გაფართოების 2023 წლის პაკეტი, კოპენჰაგენის კრიტერიუმები და სხვა.

ტრენინგის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტების მხრიდან მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები – **როგორ უნდა ასწავლონ ევროკავშირი რეგიონულ მოსახლეობას და ეთნიკურ უმცირესობას.** უკუკავშირი რეიგიონული ახალგაზრდობისგან, ამ საკითხთან დაკავშირებით, იძლევა ევროპული სწავლების მეთოდოლოგიისა და შინაარსის უკეთ გაგებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ტრენინგის დღეებში შედგა შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან მაკა ბერიძესთან, რექტორის მოადგილესთან სამეცნიერო დარგში ბატონ მერაბ ბერიძესთან, რომლებმაც ისაუბრეს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სიახლეებზე და გამოთქვეს მზადყოფნა, კავკასიის უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

პროექტი - „ჩვენი ჯარი“

პროექტის – “ჩვენი ჯარი” ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 28 მარტს, თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები ესტუმრნენ და სტუდენტებს აღნიშნული პროექტი წარუდგინეს. უნივერსიტეტს, განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი **ზაზა ჩხაიძე** და თავდაცვის ძალების მეთაურის თანაშემწე, ვიცე - პოლკოვნიკი **მამუკა მესხი** ეწვივნენ.

ღონისძიება გახსნა და აუდიტორიას სტუმრები წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ: თავი რომ დავანებოთ დღევანდელი შეხვედრის შინაარს და ფაქტი აღვნიშნოთ, ეს ფაქტი არის უკვე მნიშვნელოვანი, რადგან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები, რაც სულ სხვა ემოციას იწვევს. მინდა, მადლობა გითხრათ ამ პროექტისთვის. სახელწოდება „ჩვენი ჯარი“ ყველაზე მეტად ხვდება ჩვენს გულებს. მადლობა იმისთვის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამობრძანდით.**

გენერალ-მაიორმა **ზაზა ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია საქართველოს ულამაზეს კუთხეში – სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდეს და გამორჩეულ ახალგაზრდებს ხვდებოდეს: **დღევანდელი ვიზიტის მიზანია, გაგაცნოთ თავდაცვის ძალები, მეორე – ჩვენი მხრიდან ჩავატაროთ მონიტორინგი პროექტზე „ჩვენი ჯარი“. ველით აუდიტორიიდან კითხვებს და ჩვენ მზად ვართ, ვუპასუხოთ ნებისმიერ კითხვას.**

სტუდენტებთან ქართული ჯარის შესახებ პრეზენტაცია ჩაატარეს სპიკერებმა: მე-4 ქვეითი ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა **ლევან კობაიძემ** და მე-4 ქვეითი ბრიგადის 43-ე ბატალიონის “დელტა” ასეულის მეთაურის მოადგილემ, ლეიტენანტმა **მაიკო ჩქარეულმა.** ახალგაზრდებმა ჯარისკაცებისგან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის, აქტიური რეზერვის, სამხედრო განათლების მიღებისა და სამხედრო კარიერის გაგრძელების შესაძლებლობებზე დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

შემდეგ ღონისძიებამ ინტერაქციული ხასიათი მიიღო და სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

შეხვედრის დასასრულს სტუმარ-მასპინძლებმა ურთიერთშორის სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

აღსანიშნავია, რომ 16 აპრილს, პროექტი “ჩვენი ჯარი” თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა, იგივე შემადგენლობით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსის სტუდენტებსაც გააცნეს. განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით სტუდენტებთან შესახვედრად სამხედროებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ, საქართველოს თავდაცვის ძალების განათლების სარდალი , პოლკოვნიკი **ზურაბ ხვიჩია** და თავდაცვის ძალების მეთაურის თანაშემწე, ვიცე - პოლკოვნიკი **მამუკა მესხი.**

ღონისძიება გახსნა და აუდიტორიას სტუმრები წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა **ვასილ მოსიაშვილმა.** სტუმრებმა სტუდენტთა არაერთ კითხვას უპასუხეს.

საქართველოს თავდაცვის ძალების მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების უნივერსიტეტებსა და სკოლებში საინფორმაციო შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

ჩვენი კორესპონდენტი

სტუდენტური ფესტივალი - 2024!

წარმატება სტუდენტური ფესტივალის მონაწილეებს!

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სტუდენტურ ასოციაციასთან პარტნიორობით, ტარდება გრანდიოზული მასშტაბის სტუდენტური ფესტივალი. ძალიან მიხარია, რომ სტუდენტური ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებში, რომელიც დაიწყო ამ სემესტრის დასაწყისიდან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული. ადმინისტრაციის მხრიდან მას კოორდინირებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი როინ თათეშვილი უწევს. ფესტივალი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. არის საგანმანათლებლო მიმართულება, კულტურის, სპორტის, ინტელექტუალური, მოხალისეობის მიმართულებები.

ფესტივალის კონცეფციაზე მინდა მოგახსენოთ. ეს ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების მონაწილობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია; ითვალისწინებს შიდა საუნივერსიტეტო აქტივობებს და შერჩევებს, გარკვეულწილად, კონკურსებს და შემდეგ – საუკეთესო გუნდის საუკეთესო იდეის წარდგენას ფესტივალზე, სადაც მთელი საქართველოს მასშტაბით იქნება ღონისძიებები. საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის გაიმართება ძალიან ჯანსაღი კონკურენცია და საბოლოო ჯამში – დიდი ზეიმი.

თავად უნივერსიტეტის შიგნით აბსოლუტურად ღიაა ფესტივალის პროგრამა. უნივერსიტეტი ყველა მიმართულებით იღებს მონაწილეობას. ჩვენი უნივერსიტეტი მთელი მონდომებით, მთელი რესურსით არის ჩართული ამ ღონისძიებებში. უკვე განხორციელებულია ზოგიერთი მათგანი.

ინტელექტუალურ ნაწილში ჩვენი სტუდენტების მიერ მომზადდა ესსეები. კომისია შეარჩევს მათგან საუკეთესოს. შერჩეული ესსე გაიგზავნება ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში და უკვე ქვეყნის მასშტაბით ჩაერთვება კონკურსში. სპორტულ ნაწილში შერჩეული და დარეგისტრირებულია ფეხბურთის გუნდი.

ძალიან აქტიურები იყვნენ სტუდენტები მოხალისეობრივ ნაწილშიც. ფაქტობრივად, ყველა ფაკულტეტი დარეგისტრირდა და სტუდენტებმა თავიანთი იდეები წარმოადგინეს. გაიმართა შიდა კონკურსი და ამ შემთხვევაშიც საუკეთესო მოხალისეობრივი იდეა წარვადგინეთ ფესტივალის ორგანიზატორების წინაშე.

რაც შეეხება კულტურას, ამ მიმართულებით ჩვენმა ცეკვის ანსაბლმა უკვე მიიღო მონაწილეობა და აჩვენა საკუთარი შესაძლებლობები. დაველოდებით შედეგებს. ეს არის ძალიან ცოცხალი სტუდენტური აქტივობები. რაც მთავარია, ნამდვილად აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მხოლოდ სტუდენტის სტატუსით შეუძლიათ ფესტივალში მონაწილეობა. ეს გააერთიანებს სტუდენტობას და, საერთოდ, ერთიანობის იდეა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ერთიანობა, ძალიან სჭირდება საქართველოს ყველა დროში. როდესაც ახალგაზრდები ინტელექტუალურ ნაწილში, კულტურის ნანილში, სპორტში, მოხალისეობაში ერთმანეთს ჯანსაღ კონკურენციას უწევენ, ერთმანეთს აცნობენ საკუთარ შესაძლებლობებს, ეს ძალიან კარგია.

სტუდენტური თვითმმართველობა, ბუნებრივია, ამ პროცესებში ძალიან აქტიურად არის ჩართული. სტუდენტურმა თვითმმართველობამ დაგეგმა ინტელექტუალური თამაში – „რა, სად, როდის“, გამოვლენილია გამარჯვებული და გუნდი მიიღებს მონაწილეობას ფესტივალში.

მთავარია, რომ სტუდენტებმა აიტაცეს ფესტივალში მონაწილეობის იდეა და მზად არიან, არ დაზოგონ თავიანთი შესაძლებლობები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვართ რაოდენობით დიდი უნივერსიტეტი, აღმოგვაჩნდა რესურსი, ყველა მიმართულებით ჩავრთულიყავით კონკურენციაში. მინდა ამის გამო დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ამ ფესტივალის ორგანიზებაში ჩართულნი, ვისი ინიციატივაცაა, ამ შემთხვევაში – ჩვენს სამინისტროს, სტუდენტურ ასოციაციას, მადლობა ვუთხრა სტუდენტებს, რომ სწორად გაიგეს და გაიზიარეს ეს ინიციატივა. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდული შემართებით თავიანთ სიტყვას იტყვიან და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოაჩენენ სათანადო წარმატებით. ჩვენ ეს სხვადასხვა ფესტივალზე არაერთხელ გამოგვიცდია. ახლა ფესტივალის დასაწყისი ეტაპია, ივნისში იქნება დასკვნითი ნაწილი. დაველოდოთ შედეგებს. მინდა ყველა სტუდენტს, რომელიც ჩაება ჯანსაღ ახალგაზრდულ კონკურენციაში, ვუსურვო ღირსეული მონაწილეობა და წარმატება, ჩვენს სტუდენტობას კი განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ.

როინ თათეშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი, სტუდენტური ფესტივალის ღონისძიებათა კოორდინატორი

სტუდენტურ ფესტივალზე სხვადასხვა მიმართულების ღონისძიებებია დაგეგმილი – საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, მოხალისეობა.

ვიდრე ჩვენი გუნდები შეირჩეოდნენ, პირველ ეტაპზე ჩავატარეთ შიდა საუნივერსიტეტო კონკურსები და ჩემპიონატები, რათა გამოგვევლინებინა საუკეთესო გუნდები. განათლების მიმართულებით ჩავატარეთ ესსეების კონკურსი. კონკრეტული თემა არის შერჩეული ევროკავშირთან მიმართებაში. სტუდენტებს შეუძლიათ მოამზადონ ნაშრომი ისეთ თემებზე, როგორიცაა: საქართველო, როგორც ისტორიულად ევროპული ღირებულების ქვეყანა; ქართველი ერის როლი ინტეგრაციის გზაზე; ახალგაზრდების ჩართულობა ევროპული არჩევნების კვალდაკვალ და ნებისმიერ სხვა თემაზე, რომელიც შეეხება ამ თემატიკას. გამოცხადდა კონკურსი, შევქმენით ჟიური. შესაბამისად, გამოვლინდა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ესსე. ნამუშევარი უკვე გადაიგზავნა კონკურსში მონაწილეობისთვის. ჟიური შეარჩევს სამ საუკეთესო ესსეს, პირველი ადგილის მფლობელს გადაეცემა 1000 ლარი, მეორე ადგილზე – 800, ხოლო მესამე ადგილზე – 500 ლარი.

უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლმა 23 აპრილს მიიღო მონაწილეობა კონკურსში და ახლო მომავალში ცნობილი გახდება ჩვენთვის შედეგები.

ინტელექტუალური თამაშებისთვის სტუდენტურმა თვითმმართველობამ უზრუნველყო 6-6 სტუდენტისგან 8 ჯგუფის შეკვრა. ადგილზე ჩატარდა კონკურსი ინტელექტუალურ თამაშში – „რა, სად, როდის?“. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომელიც გაემგზავრება თბილისში 28 აპრილს საუნივერსიტეტთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობისათვის.

სპორტის მიმართულებით მინიფეხბურთში ვმონაწილეობთ. ჩატარდა შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი. გამარჯვებული გუნდი, რომელიც გამოვლინდა, თბილისში გაემგზავრება 15 მაისს საუნივერსიტეტთაშორისო ჩემპიონატზე.

რაც შეეხება მოხალისეობას, საკმაოდ საინტერესო იყო ამ მიმართულებითაც. შეიკრიბა, დაახლოებით, ხუთი გუნდი, რომლებმაც შემოგვთავაზეს საინტერესო აქტივობები. ეს იყო ბიზნესადმინისტრირების გუნდი, რომელიც გეგმავს პენსიონერების ინფორმირებას გასაცემი კრედიტების შესახებ: რამდენად მიზანშეწონილია კრედიტის აღება, რამდენად რისკის შემცველია. ეს ძალიან საინტერეოა, რადგან პენსიონერებს გარკვეულ ცოდნას გადასცემენ ამ მიმართულებით. მეორე პროექტი იყო ასეთი: ადიგენში სამღვდელოებას ერთ-ერთი ორგანიზაციისგან გადაეცა საკმაოდ დიდი მოცულობის მიწის ფართი, ხეხილის ბაღით, რომელიც წლების განმავლობაში იყო მიტოვებული. სტუდენტებმა უნდა უზრუნველყონ მისი გასხვლა და თან სწავლება. ორი დღის განმავლობაში 20-20 სტუდენტი იმყოფებოდა აღნიშნულ ობიექტზე და განახორციელეს შესაბამისი სამუშაოები.

კიდევ ერთ-ერთი პროექტია ვეტერინარიის მიმართულებით. სტუდენტთა ჯგუფი ღებულობს პასუხისმგებლობას, რომ მოსახლეობას და ფერმებში დასაქმებულებსაც აუხსნან და ასწავლონ – როდის განხორციელდეს აცრები, როგორ უმკურნალონ მსხვილფეხა საქონელს და სხვა პირველადი დახმარების საკითხები.

იურიდილი ფაკულტეტის სტუდენტებს წარმოდგენილი ჰქონდათ პროექტი, რომელიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლება-მოვალეობების გაცნობას და შემდეგ, გამგეობასთან ერთად, გარკვეული აქტივობების განხორციელებას, რომელიც წაადგებოდა შეზღუდული უნარის მქონე პირებს.

ერთ-ერთი ძალიან საინტერესო არის ადიგენის მუნიციპალიტეტთან ერთად ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციის პროექტი – „აღმოაჩინე ადიგენი“. დაახლოებით, 90 სტუდენტი, მაისში, სამ ჯგუფად გავლენ, შეისწავლიან საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ ძეგლებს, შესაბამისად, მას გააპიარებენ, გააკეთებენ მინიპროექტებს. სამ პროექტს ადიგენის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. პროექტმა – „აღმოაჩინე ადიგენი“, გაიმარჯვა შიდა კონკურსში. ჩამოთვლილი პროექტებიც განხორციელდება, მაგრამ ამ ეტაპზე თბილისში საკონკურსოდ უკვე წარვადგენთ პროექტს – „აღმოაჩინე ადიგენი“.

ჩვენთან ჩამოვლენ ჟიურის წევრები, მათ შორის შეიძლება იყვნენ უცხოელებიც. კონკრეტულად, დააკვირდებიან სტუდენტებს, რას აკეთებენ, რა შედეგს მიიღებენ ამ პროცესში და გამოავლენენ გამარჯვებულს. მსგავსი პროექტები სხვა უნივერსიტეტებსაც ექნებათ. საქართველოში გამარჯვებული გუნდი მიწვეული იქნება უცხოეთში, სადაც უცხოელი სტუდენტების (მოხალისეების) დიდი ღონისძიება ჩატარდება და იქ მიიღებს მონაწილეობას. დაახლობით 5-10 სტუდენტი იქნება ამ გუნდში.

ასეთ ფორმატში ვანხორციელებთ საქმიანობას. თბილისიდან მოწვეული გვყავდა ტრენერი, რომელმაც დაატრენინგა სტუდენტები – როგორ დაწერონ განაცხადი, რას მიაქციონ ყურადღება. საკმაოდ ნაყოფიერად ჩატარდა ტრენინგი.

ასე რომ, მუშაობა მიმდინარეობს საკმაოდ აქტიურად და ველოდებით გარკვეულ შედეგებს.

ყველა სახეობაში ჩართულ სტუდენტებს ვუსურვებ წარმატებას!

ქრისტინა მენაბდიშვილი
ანსამბლ „მესხეთის უნივერსიტეტის“ ქორეოგრაფი

23 აპრილს, „სტუდენტური ფესტივალი – 2024“-ის ფარგლებში, ქართული ცეკვის კონკურსი გაიმართა, სადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლმა – „მესხეთის უნივერსიტეტი“, წარმატებით წარადგინა თავი. მაყურებლის წინაშე ანსამბლი წარსდგა ცეკვით „მთიულური“, რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2022 წლის სტუდენტურ ფესტივალში ანსამბლმა შეძლო, დაეკავებინა მეხუთე ადგილი და მოხვედრილიყო ფინალში.

მადლობას ვუხდი უნივერსიტეტს, ასევე, „სტუდენტური ფესტივალი – 2024“-ის ორგანიზატორებს, საშუალება რომ მოგვცეს, წელსაც გვესახელებინა ჩვენი უნივერსიტეტი და ჩვენი მხარე.

სტუდენტური ფესტივალი არის დიდი შანსი და მოტივაცია, რომ სტუდენტებმა წარმოაჩინონ საკუთარი თავი, უნივერსიტეტი და კუთხე, რაც რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„აღმოაჩინე ამერიკა“

ამერიკის იდეა გლობალურ ცნობიერებაში გამყარებული არის იმდენად, რომ კონცეფცია უფრო დიდი ჩანს, ვიდრე თავად ქვეყანა. ამერიკულმა ტენდენციებმა, წიგნებმა, ფილმებმა და კერძებმა მთელი მსოფლიო მოიარა: ყველგან, სადაც მივდივართ, ხალხს აქვს აზრი ამ ერის შესახებ.

მაგრამ, რა არის ამერიკა? ამ კითხვას 26 მარტს ინგლისური ფილოლოგიის კათედრის სტუდენტებმა უპასუხეს კონფერენციაზე _ „აღმოაჩინე ამერიკა“. თემები მოიცავდა ყველაფერს დაწყებული სადღესასწაულო ტრადიციებიდან, არჩევნებიდან და ცნობილი მომღერლებით, დამთავრებული პრეზიდენტებით, სპორტით და შეერთებულ შტატებში თანამედროვე ცხოვრების რეალობით.

პროფესორი **გულიკო ჯანოვა** და ასოცირებული პროფესორი **მაკა მურვანიძე** რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად ემზადებოდნენ კონფერენციისათვის. სტუდენტები ბევრს მუშაობდნენ კვლევისა და მოხსენების მოსამზადებლად. აქ მათ საშუალება მიეცათ, გამოეყენებინათ კვლევის, მეტყველებისა და პრეზენტაციის უნარები, ასევე, მოესმინათ და ესწავლათ თანატოლებისგან.

მე-4 კურსის სტუდენტმა **ლიანა აივაზიანმა,** რომელსაც პრეზენტაცია ჰქონდა ჯორჯ რ. მარტინის სერიალის **„სამეფო კარის თამაშების“** შესახებ, აირჩია ეს თემა, რათა წაახალისოს თავისი თანაკურსელები, წაიკითხონ მეტი. **ადამიანთა უმეტესობამ იცის „სამეფო კარის თამაშების“ შესახებ, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ სერიალი დაფუძნებულია ჯორჯ რ. მარტინის წიგნებზე. ჩემი მიზანი იყო, სტუდენტების წიგნების კითხვით დაინტერესება, ვიდრე ტელევიზორის ყურებით.** – ამბობს ლიანა.

ვინც ყოყმანობს მსგავს კონფერენციებში მონაწილეობაზე, ლიანა ურჩევს: **მნიშვნელოვანია, არ დაელოდოთ 100-იან სრულყოფილ შედეგს თქვენი გამოსვლის დროს. სწავლის პირველ წლებში ძალიან მეშინოდა შეცდომის დაშვების ან რაღაცის დავიწყების. ამიტომ ინფორმაციას ვიზეპირებდი და შეცდომების დაშვების შანსები გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ზოგადად საუბრისას. ახლა პრეზენტაციას ვაკეთებ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ვისწავლე და დამამახსოვრდა ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ვისწავლე და დამამახსოვრდა.**

მესამე კურსის სტუდენტმა **თერეზა სერობიანმა** წარმოადგინა პრეზენტაცია ოქროს ციებცხელების შესახებ მე-19 საუკუნის კალიფორნიაში. ტერეზას პრეზენტაცია იყო ერთ-ერთი იმ მრავალთაგანი, რომელმაც პერსპექტივაში დააყენა ჩვენი იდეები ამერიკის შესახებ და მოგვცა საშუალება, კავშირი დაგვემყარებინა ამ ერთან, დროისა და მანძილს მიღმა.

კვლევის შედეგად მან გაიგო, რომ ჯინსი (ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკული სიმბოლო) გამოიგონა ლევი შტრაუსმა ამ პერიოდში. შტრაუსმა დაინახა მაღაროელებს შორის გამძლე ტანსაცმლის საჭიროება და შექმნა ქსოვილი, რომელსაც დღეს ვატარებთ.

ღონისძიება გახსნა სჯსუ-ს რექტორმა, პროფესორ **მაკა ბერიძემ**. სიტყვით გამოვიდნენ – განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი **გულიკო ბექაური** და ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი**. მათ ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავს ღონისძიებებს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის წარმატებისთვის.

მომხსენებლებს გადაეცათ სერთიფიკატები და დამსწრეებს საშუალება მიეცათ, კონფერენციის დასასრულს, გათამაშებით მოეგოთ ახალციხის ამერიკული კუთხის მიერ საჩუქრად გადაცემული წიგნები.

ჰანა ბრედშტაინი
ფულბრაითის პროგრამის ინგლისური ენის სწავლების ასისტენტი

ვარსენიკ ვართანიანი
ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი

მხოლოდ მომავალი იურისტებისთვის

ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სხვა წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ. მათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდული კლუბის „YOUTHTITIA“ პრეზენტაცია წარუდგინეს სტუდენტებს.

დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** მიესალმა. მან აღნიშნა, რომ იდეა, რომლის გამოც ამ დღეს ახალგაზრდები შეიკრიბნენ, მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომ იწყება ინიციატივა და ჩვენი სტუდენტები იქნებიან კარგი ინიციატივის ისტორიის შემქმნელები. ასევე, ეს იქნება შანსი სტუდენტთა წარმატებისა მათ კარიერაში.

აუდიტორიას მიესალმნენ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი **ვახტანგ ჟვანია,** ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თამარ როსტიაშვილი** და იურიდიული ფაკულტეტის დეკანი **დავით ხობელია.**

როდესაც უნივერსიტეტზეა საუბარი, პირველი, რაც ასოცირდება ამასთან, არის ის, რომ ვსაუბრობთ უმაღლეს განათლებაზე, ვსაუბრობთ ქვეყნის მომავალზე. ბუნებრივია, ყველა პროფესიონალები იქნებით, დასაქმდებით და თქვენს სათქმელს იტყვით, მაგრამ კონკრეტულ მოცემულობებში დამატებითი რესურსის ჩადებით შესაძლებელია, ადამიანმა უფრო სწრაფად მიიღოს შედეგი და ბევრად უფრო წარმატებული გახდეს. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შექმნა პროექტი, რომლის მთავარი მიზანია დაარსდეს ახალგაზრდული კლუბი და იმ ადამიანებს, რომლებსაც შეარჩევს, მისცეს შესაძლებლობა განვითარების. – აღნიშნა ვახტანგ ჟვანიამ.

მიხარია, რომ დღეს ვხვდები მომავალ იურისტებს. ბევრი ვიფიქრეთ, თუ რა შეიძლებოდა ახალგაზრდა იურისტებისთვის შეგვეთავაზებინა. ეს პროექტი ჩამოყალიბდა იმ ფორმით, რომ სტუდენტები უკეთ გაერკვნენ მათი მომავალი მიმართულების არჩევაში. ვინც შეირჩევა ამ პროექტში, ეს იქნება სტუდენტთა განვითარებისთვის საინტერესო გამოცდილება. სანამ დიპლომს აიღებთ, გაერკვეთ, რა მიმართულებაში ხედავთ თქვენს თავს. – მიმართა სტუდენტებს თამარ როსტიაშვილმა.

მადლობა მინდა ვუთხრა სტუმრებს ამ იდეის გაცნობისთვის. მადლობა ქალბატონ მაკას, რადგან ის ყოველთვის გვერდში გვიდგას და ხელს უწყობს ახალგაზრდებს, მისცეს შესაძლებლობა, განვითარდნენ და გამოიყენონ მსგავსი შესაძლებლობები. გვყავს საუკეთესო სტუდენტები და ისინი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას ამ პროექტში. – აღნიშნა დავით ხობელიამ.

სტუდენტებმა ახალგაზრდული კლუბის „YOUTHTITIA“ აქტივობებისა და შესარჩევი კონკურსის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლის **გრიგოლ წაქაძისგან.**

შეხვედრის დასასრულს სტუდენტებმა არაერთი შეკითხვა დასვეს, რომელზედაც ამომწურავი პასუხები მიიღეს. რადგან ახალგაზრდული კლუბი განკუთვნილია ჯერჯერობით მხოლოდ სამართლის სპეციალობის სტუდენტებისთვის, შეხვედრაზე მყოფმა საჯარო მმართველობის სპეციალობის სტუდენტებმა იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელისაგან მიიღეს შეთავაზება მათთვის საინტერესო საკითხზე ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ პროექტს არ ექნება ერთჯერადი ხასიათი და არ არის გამორიცხული სხვა სპეციალობის სტუდენტთათვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.

ლიკა ზაზაშვილი

შეხვედრის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მიზანი

9-11 აპრილს, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის – ETHICS - Erasmus+ („კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა, კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში) ფარგლებში, კონსორციუმის შეხვედრა და სასწავლო ტური გაიმართა ქალაქ ამსტერდამში (ნიდერლანდების სამეფო), რომელსაც უმასპინძლა ამსტერდამის, ვრიჯის უნივერსიტეტმა (პარტნიორი).

შეხვედრას ესწრებოდნენ: პროექტის კოორდინატორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროექტის კონსორციუმის 9 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, 3 ევროპული უნივერსიტეტის, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მეორე საერთაშორისო კონსორციუმში მონაწილეობა მიიღეს პროექტის მენეჯერმა, პროფესორმა **თინა გელაშვილმა** და პროექტის წევრებმა: პროფესორმა **გულიკო ჯანოვამ** და ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა მურვანიძემ.**

სასწავლო ტურის მიზანი იყო კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართულების მექანიზმების, პროცედურებისა და სერვისების გაუმჯობესება ინსტიტუციურ დონეზე, სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში.

კონსორციუმის წევრებმა შეხვედრაზე შეაჯამეს პროექტის ფარგლებში არსებული 6 სამუშაო ჯგუფის მიღწევები, გამოწვევები და განიხილეს სამომავლო გეგმები. აგრეთვე, თითოეულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა საკუთარი ხედვა და მიღწეული შედეგები. პროექტის მენეჯერმა თინა გელაშვილმა ისაუბრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გატარებული ღონისძიებების, ჩატარებული ტრენინგების, საინფორმაციო შეხვედრების, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

გარდა ამისა, სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ევროპელმა პარტნიორებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს კვლევის ეთიკის შესახებ. ჩატარდა დისკუსია „World Café“-ის პრინციპით და გაიმართა „პოსტერების პრეზენტაცია“ არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

სოლომონ ლიონიძის ნაკვალევზე

სოლომონ ლიონიძე – სახელმწიფო მოღვაწე, მდივანბეგი ერეკლე II-ის კარზე, დიპლომატი, მწიგნობარი... ამ დიდი წინაპრის გასაცნობად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 16 აპრილს, ჭიათურის კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილების წარმომადგენლები ესტუმრნენ.

„სოლომონ ლიონიძის ნაკვალევზე“, ასეთი გახლდათ საინფორმაციო შეხვედრის თემატიკა. 123-ე აუდიტორიაში შეკრებილმა საზოგადოებამ – პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენება და მიიღეს სიღრმისეული ინფორმაცია დიდი საზოგადო მოღვაწის შესახებ.

სტუმრებს უმასპინძლა და ღონისძიება გახსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა**. შემდეგ სიტყვა გადაეცა ჭიათურის კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელს **ირაკლი გიორგაძეს.** მან მადლობა მოახსენა უნივერსიტეტს მხარდაჭერისთვის და აღნიშნული ღონისძიების გამართვის მიზეზებზე ისაუბრა: **ჩვენი მიზანი იყო ჭიათურის ტერიტორიაზე დაბადებული და მოღვაწე ადამიანების ისტორია შეგვესწავლა, გაგვეცნო და საინფორმაციო შეხვედრები გაგვემართა ახალგაზრდებთან. ახალციხე და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმიტომ შევარჩიეთ, რომ ერთ-ერთი ინფორმაციით ლიონიძეების გვარის წარმოშობა სამცხე-ჯავახეთის მხარეს უკავშირდება, ასევე, სოლომონ ლიონიძემ საბოლოო ნავსაყუდელი ახალციხეში ჰპოვა. იგი ახალციხის კათოლიკური ეკლესიის ეზოში განისვენებს.**

შეხვედრის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა ჭიათურის კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილების უფროსმა **თინათინ კაპანაძემ: ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის დიდი პატივია ასეთ სამეცნიერო სივრცეში წარდგენა. მიზანი ამ შეხვედრის არის ახალგაზრდებამდე მივიტანოთ ხმა, ვინ იყო სოლომონ ლიონიძე და რა ღვაწლი აქვს მას საქართველოს წინაშე. უნივერსიტეტის ფოიეში წარმოდგენილი იქნება გამოფენა, რომელიც ისტორიას გაგვიცოცხლებს და შევძლებთ, დავბრუნდეთ იმ ეპოქაში, რომელშიც ბატონი სოლომონი მოღვაწეობდა.**

სოლომონ ლიონიძის შესახებ საინტერსო ინფორმაცია გააცნო აუდიტორიას ჭიათურის კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილების მკვლევარმა, ისტორიკოსმა ლია ხარაიძემ. თუ ერთ ახალგაზრდას მაინც მივცემთ ბიძგს, რომ ამ პიროვნებით დაინტერესდეს, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება. – აღნიშნა მან.

პროექტის „სოლომონ ლიონიძის ნაკვალევზე“ მხარდაჭერისთვის თინათინ კაპანაძემ უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მაკა ბერიძის სახელზე უნივერსიტეტს **მადლობის ბარათი** გადასცა.

მასპინძელმა მხარემ მადლობა მოახსენა ჭიათურის კულტურის ცენტრის ტურიზმის განყოფილების წარმომადგენლებს ასეთი მაღალი დონის ღონისძიების გამართვისთვის.

სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსმა **თემურ მაღრაძემ** აღნიშნა, რომ ამ დღეს, სოლომონ ლიონიძის შესახებ დამსწრე საზოგადოებამ მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მიიღო. უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** ხაზი გაუსვა ღონისძიების მაღალ, აკადემიურ დონეს, აღნიშნა, **რომ მასაც ჰქონდა პატივი, წვლილი შეეტანა ამ დიდი წინაპრის წარმოჩენაში, როდესაც ახალციხის წმინდა ჯვრის კათოლიკური ეკლესიის შესახებ (რომლის ეზოშიც დაკრძალულია სოლომონ ლიონიძე) გამოსცა წიგნი.** ასევე, სტუმრებს გადასცა გაზეთის „ლიტერატურული მესხეთის“ ის ნომრები, სადაც სოლომონ მე-2 შესახებ დაბეჭდილ წერილებში გარკვეული ადგილი სოლომონ ლიონიძის მოღვაწეობასაც ეთმობა. ქალბატონმა ნატომ საზოგადოებას წარუდგინა ახალციხის მოქალაქე **ზაზა ვარდიძე,** რომლის ქველმოქმედებითაც სოლომონ ლიონიძის საფლავს გაუკეთდა შესაბამისი წარწერა. **ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება, ქართველმა კაცმა ისე იცხოვროს, რომ ვერ გაეცნოს ამ ისტორიას და ამ უნიკალურ ნივთებს. მადლობა ქალბატონ ლიას, ასე დეტალურად რომ გაგვაცნო სოლომონ ლიონიძის ისტორია. მადლობა მთელ ჯგუფს ასეთი ღონისძიებისთვის.** – აღნიშნა ქალბატონმა ნატომ.

ღონისძიების დასასრულს საზოგადოების წინაშე სოლომონ ლიონიძის შთამომავალი **ბესიკ ლეონიძე** წარსდგა: **დიდი მადლობა ჩვენი წინაპრის მიმართ ასეთი ინტერესის გამოჩენისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია, გვერქვას ბატონი სოლომონის შთამომავლები. ეს ფაქტი ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დღეს პირველად მივედი ჩვენი დიდი ბაბუის საფლავთან... ბევრი არ ვართ მისი შთამომავლები. მინდა მადლობა ვუთხრა ახალგაზრდებს, რომ არიან ჩვენთან ერთად და ისმენენ ამ ინფორმაციას. მადლობა უნივერსიტეტს, რომ დაგვითმო დრო. მადლობა ყველას, ვინც კიდევ ერთხელ გააცოცხლა ჩვენი დიდი წინაპარი სოლომონ ლიონიძე.**

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა გადაინაცვლეს უნივერსიტეტის ფოიეში, სადაც გამოფენილი იყო სოლომონ ლიონიძის ნივთები. ერთხმად აღინიშნა, რომ ამ ღონისძიებითა და გამოფენით წარსულში იმოგზაურეს და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები შეიქმნეს.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის განყოფილებამ.

ლიკა ზაზაშვილი

ლევან სააკაძის გახსენება

გიორგი სირაძე
საქართველოს პარლამენტის წევრი

არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ საზოგადოებაში თავის გამოჩენა, მაგრამ თავიანთი პატიოსნებითა და წესიერებით მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ლევან სააკაძე. მას ინტელიგენტურობა ოჯახიდან მოსდგამდა . მამა – ვალერიან საააკაძე თავისი სიდარბაისლითა და კეთილშობილებით შესაძლებელია, ძველი თაობის კოლორიტულ პიროვნებად ჩაითვალოს. იგივე ითქმის ლევანის დედაზე ქალბატონ ნელიზე.

ლევანი 1985 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მე-2 კურსზე ერთ-ერთ ლექციაზე გავიცანი და მას შემდეგ მალევე დავმეგობრდით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცხოვრების გარკვეული პერიოდი უკრაინაში გაატარა, რა დროსაც ჩვენს შორის მეგობრობა არ შეწყვეტილა. მახსენდება 1994 წელი, როდესაც ლევანმა და მისმა მომავალმა მეუღლემ (ეროვნებით უკრაინელმა) უკრაინის დედაქალაქში, ქალაქ კიევში მიმასპინძლეს, ამავე პერიოდში დაოჯახდა და მისი ხელისმომკიდე თქვენი მონა-მორჩილი გახლდით.

ლევანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით, კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ჰქონდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისი (ასევე იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი). მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალციხის უნივესიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტთა აღზრდაში. სრულყოფილად ფლობდა უკრაინულ, რუსულ, პოლონურ და ინგლისურ ენებს. საკმაოდ ერკვეოდა კლასიკურ ლიტერატურაში, კლასიკურ მუსიკაში.

ლევანს პოეზიის მუზაც ხშირად სტუმრობდა,რისი გამოხატულებაც არის ამ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსები. სამწუხაროდ, ამ ლექსების არსებობაზე ლევანის გარდაცვალების შემდეგ შევიტყვეთ.

ყოველივე ეს ახასიათებდა ლევან საააკაძეს. იგი კარგად ერკვეოდა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ კულტურის, თითქმის, ყველა დარგში. კარგად იცოდა არა მხოლოდ კლასიკური მუსიკა, ლიტერატურა, მხატვრობა, არამედ თანამედროვეც.

ჩემში დიდი გაოცება გამოიწვია ფილოსოფიის ცოდნამ. მის მაგიდაზე იხილავდით უმბერტო ეკოს, ფილიპ როტის, სტენბერგის, ჯონ ფაულზის, საულ კრიპკეს, ბრუნო ლაუტერის, მირჩე ელიადეს და სხვების თხზულებებს, რომელთა გააზრება სულ სხვაგვარად დამანახა. თავადაც წერდა ლექსებს და ისინი მე წამაკითხა. მისი ლექსების არსებობაზე მისმა მეგობრებმა გაიგეს მისი სიკვდილის შემდეგ, ჩემი მეშვეობით.

როინ რეხვიაშვილი
მოწვეული პედაგოგი

ორი წელი შესრულდება, რაც იგი აღარ გვყავს. ლევანი იყო უბრალო, კეთილი, ტკბილმოუბარი, გულდატანჯული, უთქმელი კაცი. ადამიანს, როგორც ცნობიერების მქონე არსებას, სხვადასხვა ნიშნები გააჩნია. მე შევეხები ჩემი მეგობრის ამ ნიშანთაგან ერთ-ერთ ძირითადს – ინტელექტს, რომელიც ვლინდება აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნების, სააზროვნო მასალის ანალიზისა და სინთეზის სიღრმისეულ გააზრებაში.

ლევან საააკაძე

* * *

მოვიდა თოვლი ახალციხეში
და მე გავცქერი მესხეთის ზეგანს,
ჩუმი ზეცა და ჩუმი ნაბიჯი
მაშორებს მიწას, რომელიც მე მწამს.
დრო გავა, ალბათ, გავა ნანატრი,
მე დავიტირებ ისევ წინაპრებს
და ნატვრის ნიჭი ვერ დამაშორებს,
მე მათ ოცნებებს, სულებს და მიზნებს.

* * *

მე შუამთაში ამოვალ ღამით.
დაღლილი, თუმცა, ამოვალ წამით
და დაგინახავ, როგორც აჩრდილი.
ღამით, ღამით და ისევ ღამით.
მომენატრება ის სიყვარული
მე რომ მაშორებს ისევ იმ წამით.
წავიდა თრობა, წავიდა სევდა,
მე დაკარგული დავდივარ ღამით,
მოვიდა თოვლი და ისევ სევდა.
ღამით, ღამით და ისევ ღამით.

* * *

დამეწყო ბოდვა, დამეტყო ცრემლი...
მე ვერ ავიტან ამდენ სიცრუეს.
ჩემს სანაპიროს მოადგა გემი
და მას მოუნდა, რომ ამატიროს.
მაგრამ როგორც კი „მოხვდა“ იმედი,
იცვალა გეზი და გასცდა ნაპირს
და წარემართა სხვის გასართობად,
რომ ეს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს.
ნაზად და სახტად, მშვიდად და მარდად
და მე დამრჩება ისევ სილაღე,
ის ლაღი ეშხი და პაემანი.
შევცქერი თბილისს, მომინდა სიტყვა,
მოგონებებით სავსე აჩრდილი,

მოვიდა სეტყვა, გამომაფხიზლა
და უცნობ ნაპირს მოადგა გემი!!!

* * *

თოვდა რაბათში, ათოვდა მთაწმინდას
და მე დავტოვე დარდი მარტივი,
მარტივი დღისით, მარტივი ღამით
და როგორც სათუთი პატარა ბავშვი
მე წამოვედი ჩრდილით დაღლილი,
ისევ და ისევ ნანატრი სევდით
დატოვებული, აწ გარდაცვლილი
მე დავინახე მტკვარი ანკარა.
გული ამევსო და ისევ ცრემლით
მოვედი შენთან, როგორც ოცნება
და დაგიტოვე ეს სიხარული.
ზამთარი მოდის,ზაფხული გადის
არ გამოტოვო ეს სიხარული
და ისევ, როგორც დაღლილი ბავშვი
ვერ დავივიწყე ეს გაზაფხული.

საოცნებო სტუდენტური წლები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ჩვენს ძვირფას მკითხველს გავუზიარებთ უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტების ემოციებსა და მოლოდინებს. ოთხი გოგონა, რომელთა ცხოვრება ნამდვილად საოცნებო ახალი ფურცლიდან დაიწყო. სტუდენტები, რომლებმაც გააზრებულად აირჩიეს სამომავლო პროფესია. მათ კარგად იციან, რომ წინ არც თუ ისე მარტივი, თუმცა, საინტერესო გზა ელით.

– გვიამბეთ, როგორ გადაწყვიტეთ, გამხდარიყავით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

– უნივერსიტეტის არჩევაზე დიდხანს ვფიქრობდი, ბოლოს კი ჩემი ყურადღება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიპყრო. ხშირად მიფიქრია, თუ როგორი იქნებოდა ის გარემო, სადაც ჩემი ცხოვრების ძვირფას წლებს გავატარებდი და გავხდებოდი ღირსეული სტუდენტი, თუმცა, მსგავსზე ვერც კი ვიოცნებებდი. მეგობრებისგან ხშირად მსმენია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იძლევა საკუთარი თავის აღმოჩენის საშუალებას. აქ შეგიძლია ყველა სფეროში გამოსცადო შენი შესაძლებლობები. რამაც ყველაზე მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება, ეს იყო გაცვლითი პროგრამები. იგი საუკეთესო გზაა ცოდნის გასაღრმავლებლად და, ამასთანავე, ამ დიდ გზაზე იძენ საუკეთესო მეგობრებს.

აბიტურიენტობის პერიოდიდან გამოვარჩევდი ჩემთვის ერთ-ერთ ძვირფას მოგონებას, როდესაც ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა „ფილოლოგი გოგონათი“ მომმართა. ეს იყო ჩემთვის საუკეთესო კომპლიმენტი, რომელიც დღემდე მომისმენია და ამ სიტყვებმა მომცა სტიმული და მიბიძგა, მომეძებნა ის უნივერსიტეტი, სადაც ქათული ფილოლოგიის სპეციალობა მაღალ დონეზე ისწავლებოდა. დღეს მე აქ ვარ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იგი ჩემი აღმოჩენაა. – გვიზიარებს **ეკა მოდებაძე.**

– რატომ ქართული ფილოლოგიის სპეციალობა? მოგვიყევი იმ პასუხისმგებლობასა და ემოციებზე, რომელიც თან ახლავს სტუდენტობას.

– ქართული ფილოლოგია არის ის სპეციალობა, რომლისთვის გარჯაც, ჩემი აზრით, ნამდვილად ღირს.ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ სპეციალობაზე მარტო ქართულ ენასა და ლიტერატურას სწავლობენ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნამდვილად არ არის ასე. ძალიან რთულია პროფესიის არჩევა, რადგან თითოეულ ადამიანს გააჩნია სხვადასხვა ინტერესის სფერო. ორი წლის წინ, ალბათ, ვერც ვიფიქრებდი, რომ დღეს შეიძლებოდა ქართული ფილოლოგიის სპეციალობა ამერჩია, მაგრამ მე მაინც ვიპოვე ჩემი გულისა და სულის პროფესია. ეს სპეციალობა ავირჩიე, რადგან ძალიან მიყვარს ქართული ენა და ლიტერატურა. ამასთან ერთად, ძალიან მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა და მომავალში მინდა, რომ გავხდე ქართული ენის მასწავლებელი, რადგან სახელმწიფო ენის ცოდნა უმნიშვნელოვანესია საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის. ჩემი მთავარი მისია სწორედ ეს არის, რომ ჩემი თემის არაქართველ საზოგადოებას ვასწავლო ქართული ენა. ამისათვის კი ძალიან დიდი შრომა და სწავლაა საჭირო. ჩემი, როგორც ქართული ფილოლოგიის სტუდენტის, დევიზია: **„შეუძლებელი არაფერია, რაც დღეს არ გამოგდის, ხვალ აუცილებლად გამოგივა. ამიტომ არ უნდა დანებდე!”.** ამ სიტყვებს ყოველდღე ვეუბნები საკუთარ თავს სწავლის დაწყებამდე და ვიცი, რომ აუცილებლად მივაღწევ ჩემს მიზნებს, როგორი რთულიც უნდა იყოს.

იყო სტუდენტი, ჩემთვის ნიშნავს, იყო შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი. პასუხისმგებლობა კი იმაში მდგომარეობს, რომ უკვე ვხვდები, ერთი ლექციის გაცდენაც კი უარყოფითად მოქმედებს სამომავლო გეგმებზე. მე პირველ დღესვე უნივერსიტეტში შევედი ისეთი გრძნობითა და ემოციებით, რომელთა აღწერა ძალიან რთულია ადამიანური ენით. ჩემთვის ორმაგად დიდი პასუხისმგებლობაა ქართული ფილოლოგიის სპეციალობაზე სწავლა. როგორც ეროვნებით არაქართველს, მინდა, უფრო და უფრო მეტი ვისწავლო და საუკეთესო ვიყო ამ სფეროში. დიახ, ძალიან რთულია, როცა ენას სწავლობ ნულიდან და ყველაფერი შენთვის ახალია, მაგრამ უნივერსიტეტმა მომცა იმის საშუალება, ვცადო და ვისწავლო ის, რისთვისაც მოვედი. ვიცი, რომ შევძლებ ამ რთული გზის ბოლომდე გავლას და მომავალში გავხდები ქართული ენის კარგი სპეციალისტი და სწორედ ამ მიზნისთვისაა ჩემი დღევანდელი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა. თითოეული ლექტორის წინაშე მე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მაქვს, რადგან ვიცი, მათ სჯერათ ჩემი. – **გოჰარ კარაპეტიანი.**

– ყველა სიახლეს თან სდევს გარკვეული სირთულეები და შიში. თქვენთვის რა არის ის გამოწვევა, რომელიც უნდა დაძლიოთ ? რას ურჩევდით ახალგაზრდებს ?

– ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა ახალი გამოწვევაა, რომელსაც თან სდევს გარკვეული სირთულეები. როგორც პირველკურსელისთვის, ჩემთვის რთულია ახალ გარემოსთან შეგუება და დროის სწორად გადანაწილება. ხშირად ღამეებსაც კი ვათენებ იმისთვის, რომ ერთმანეთს შევუთავსო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლში მონაწილეობა, შეხვედრები და სემინარები. როდესაც სტუდენტი ხარ, დიდი ძალისხმევა და შრომა გჭირდება იმისთვის, რომ შენ განვითარდე და ისწავლო, შემდეგ კი სხვას გაუზიარო ეს ცოდნა. სირთულეების გარეშე მწვერვალების დაპყრობა შეუძლებელია. მთავარია, იმუშაო საკუთარ თავზე, გჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების და შიშიც ნელ-ნელა გაქრება.

ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ პროფესია აირჩიონ საკუთარი სურვილით და აკეთონ ის, რაც სიამოვნებას ანიჭებთ. არ შეუშინდნენ სირთულეებსა და გამოწვევებს, რადგან მათ გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ვურჩევდი, რომ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს და საკუთარი განვითარებით ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებასაც. – **თამთა თათოშვილი.**

– როგორი მოლოდინი გაქვს სამომავლოდ, როგორია შენი საოცნებო სტუდენტური წლები?

– ჩემთვის, როგორც მომავალი ფილოლოგისთვის, სამომავლო გეგმა, რა თქმა უნდა, მასწავლებლობასთან ასოცირდება. ეს ის პროფესიაა, რომელიც ბავშვობაში დავისახე მიზნად და დღეს ყველაფერს გავაკეთებ ამ მიზნის მისაღწევად. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამიმართლა ის მოლოდინი, რომელიც თავიდანვე მქონდა. თითოეული ლექტორის გვერდში დგომა, ყურადღება, დახმარება, ეს ხომ ძალიან სასიამოვნოა. მომავალში უკეთესი მოლოდინი და გეგმები მაქვს ფილოლოგიასთან დაკავშირებით. მე, როგორც დედას, სტუდენტსა და მომავალ მასწავლებელს, თამამად შემიძლია ვთქვა – მომავალი ჩემს ხელშია! სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომცემს იმის შესაძლებლობას, რომ გავხდე სამაგალითო მასწავლებელი.

როგორია შენი საოცნებო სტუდენტური წლები? – ეს კითხვა 8 წლის წინ რომ დაგესვათ, ალბათ, გიპასუხებდით: ეს ის საოცნებო წლებია, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს ისე, რომ მთელი ცხოვრება იმ ემოციებით გაატაროს, რასაც “სტუდენტური წლები “ჰქვია.

დღესაც ანალოგიურად გიპასუხებთ, თუმცა, ცოტა განსხვავებული სტილით. როდესაც გყავს ორი შვილი და ხარ სტუდენტი, უფრო დიდი პასუხისმგებლობა გენიჭება შენი შვილების მომავლის შენებაში. სტუდენტობა ისეთი სასიამოვნო წლებია, ნებისმიერ ასაკში საოცნებოდ გაატარებ. – **კრისტინა მასკალსკაია.**

ინტერვიუერი
რიმა სუდაძე

ვიყო ვეტერინარი, ნიშნავს...

ვეტერინარია ცხოველების კეთილდღეობას, მათზე ზრუნვას და კონსერვაციას ემსახურება. როდესაც გადავწყვიტე, მეც დავდგომოდი ამ სიახლეებითა და მრავალფეროვნებით მიმავალ გზას, სისხლში ახალმა ენერგიამ იწყო დინება და ახალ შესაძლებლობებს მისცა გასაქანი. ამ ყველაფერში კი უდიდესი წვლილი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც 4 წელია, წარმატებით ფუნქციონირებს ვეტერინარული მედიცინა.

რამ შთამაგონა და გააღვივა ჩემთვის ვეტერინარად გახდომის სურვილი?

ხშირად, როდესაც დავხუჭავ თვალებს და დავფიქრდები, რატომ მოვხვდი ვეტერინალურ მედიცინაში, მახსენდება ყველა ის პოზიტიური ემოცია, რამაც შთამაგონა ისეთი რამ, როგორიცაა ადამიანისა და ცხოველის კავშირის ძალა და შემძლებოდა ხარისხიანად ავადმყოფების ან დაშავებულების განკურნება, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

მას შემდეგ ჩემი ოცნება გაიზარდა თუ არა?

ჩემს ოცნებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სული შთაბერა და ფრთები შეასხა, მეტიც, დამანახა ჩემი როლი ამ დარგში და გამომიმუშავდა სამყაროსადმი ახალი ხედვა – ვეტერინალური ხედვა.

ჩემი ახლანდელი გადმოსახედიდან რას ვეტყოდი აბიტურიენტობის პერიოდში მყოფ „მეს“ და მათ, ვისაც სურს, შეაბიჯოს ვეტერინალურ სამყაროში?

თუ ირწმუნებ, მიზანს აუცილებლად მიაღწევ. უსმინე გულს, შრომა ყოველთვის ფასდება.

ჩემთვის ვეტერინარია მრავალფეროვნების შეგრძნებაა. რას ვხედავ, როდესაც ყოველდღე სარკეში ჩემს ანარეკლს ვუყურებ? ისტორიას... ჩემს ისტორიას, რომელიც საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიის ძიებით დაიწყო და ვეტერინარიისკენ მიმავალ ბილიკებზე მრავალი კარგი თვისება შემძინა და სამყარო ახლად შემაცნობინა.

საზოგადოების უმეტესობა ვეტერინარიას, ვიწრო ჭრილში, მხოლოდ ძაღლისა და კატის ექიმად აღიქვამს და ვეტერინარის ყოველდღიურობას ვარდისფერი სათვალით განჭვრეტს. მათ მიერ დანახული ყოველდღიურობა კი შემდეგნაირია: ცხოველის პატრონს ცხოველი მიჰყავს ვეტერინართან პროფილაქტიკის მიზნით. ვეტერინარი კი გადასხმას გაუკეთებს ცხოველს, მოეფერება და ამით სრულდება მისი სამუშაო კლიენტთან, თუმცა, დაგროვებული გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ვეტერინარობა „ყოველდღიურად მოულოდნელობის მოლოდინია“ და ყველა შემთხვევაში საქმე უფრო საინტერესო და არაპროგნოზირებადია.

ვეტერინარიის მთელი ხიბლი და უნიკალურობა ჩემთვის, ერთი მხრივ, გამოიხატება მის მრავალფეროვნებაში.

აქედანვე ვიაზრებ და ვაცნობიერებ, რომ უნდა ვიყო ცხოველის ახლო მეგობარი. მათ არ შეუძლიათ გვესაუბრონ, მაგრამ ამას გამოხატავენ თავიანთი საქციელითა და ემოციებით... ეს კავშირი კი, ყველაზე ძვირფასი და ძლიერია, ხოლო მათი ერთგულება ყველაზე უფრო წმინდა.

„ერთგულება არ ისწავლება, ის სისხლშია“.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა და ვეტერინარიის განმარტებათა ლექსიკონში დავამატო ვეტერინარის განმარტების ზუსტი შესატყვისი – **ვეტერინარი კაცობრიობის ექიმია.** ჯანსაღი ცხოველი ჯანსაღ პროდუქციას უდრის და საბოლოოდ ადამიანების ჯანმრთელობასაც განსაზღვრავს.

დასასრულს ვიტყვი – ვიყო ვეტერინარი, ნიშნავს – ვიზრუნო ჩვენი ოთხფეხა მეგობრების ჯანმრთელობაზე და ჩემი წვლილით ნათელი შტრიხები შევმატო მათ ცხოვრებას.

თენგიზ მელიქიძე
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

ანნა მიქაელიანი: ნებისმიერი სიძნელე წარმატებისკენ მიმავალი გზაა!

ცხოვრებაში წარმატებისკენ მიმავალი ყველა გზა იწყება პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯებით. ვერც კი შეამჩნევ, როგორ გადადგამ მეორე ნაბიჯს, მესამეს და ბოლოს, როგორ მიაღწევ იმ წარმატებას, რაზეც არასდროს გიფიქრია.

2021 წლის ცივი შემოდგომა იყო, წვიმიანი სექტემბერი. ახალციხის ცენტრალურ პარკში მელოდებოდა ახალგაზრდების დიდი ჯგუფი. მათთან ერთად ვაპირებდი მისვლას იმ შენობაში, სადაც უამრავი თავგადასავალი, წარმატება, კარგი დღეები და თუნდაც – მარცხიც მელოდა.

ეს იყო დღე, როდესაც პირველად მივედი უნივერსიტეტში, პირველ ლექციაზე. გრძნობები, რომლებიც დამეუფლა, სამი სიტყვით შემიძლია გამოვხატო – **ინტერესი, ბედნიერება, მღელვარება.**

არასდროს მავიწყდება, თუ რა ინტერესით ვუსმენდი პირველ ლექციას, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ლექციის თემა იყო საინტერესო, არამედ იმითაც, რომ ლექტორის მიერ გამოთქმული ყველა სიტყვა მინდოდა გამეაზრებინა.

თავდაპირველად, ქართულ ენაში მოსამზადებელ კურსზე ჩავაბარე. მიჭირდა თავისუფლად აზრის გამოხატვა ქართულად, მიჭირდა საუბარი. რადგან კურსელები სომხები მყავდა, ამ სირთულეებს დიდ ყურადღებას არც ვაქცევდი. მქონდა შესაძლებლობა მაინც სომხურად მესაუბრა. ხშირად ლექციებზე ხმას არ ვიღებდი, ჩუმად ვიყავი, აზრის გამოხატვის ან კითხვის დასმაზე ფიქრის გამბედაობაც კი არ მქონდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, წარმატებით დავამთავრე ქართულ

ენაში მოსამზადებელი კურსი, ვცდილობდი კარგად მესწავლა.

მოვიდა ახალი შემოდგომა, ახალი სასწავლო წელი. ოღონდ, წინა სექტემბერთან შედარებით ამინდი განსხვავებული იყო – წვიმის ნაცვლად მზე კაშკაშებდა. ამ ფონზე, მაინც არ ვიყავი შეცვლილი ჩემი ბუნებით. დავრჩი ისევ მორცხვ გოგონად. კურსელები უკვე ქართველები მეყოლებოდა, არც ერთს არ ვიცნობდი და ქართულად საუბრის კომპლექსი წინა კურსზე თუ მხოლოდ ლექტორებთან, ახლა მთელ კურსთან მექნებოდა. ჩემთვის რთული გახდა სემინარის ჩაბარება, კურსელებთან საუბარი. დილაობით ყველაზე ადრე მივდიოდი უნივერსიტეტში, აუდიტორიაში პირველი შევდიოდი, რადგან ყველას თვალწინ აუდიტორიაში შესვლაც კი მრცხვენოდა.

კურსზე 9 სომეხი ვიყავით. ყველა პირველ ჯგუფში მოხვდა (ორ ჯგუფად გაიყო ჩვენი კურსი), მეკი დავრჩი მეორეში, ქართველებთან, რადგან ამ ხერხით უფრო სწრაფად და ადვილად შევძლებდი ენის შესწავლას და იქნებ გამბედაობაც მომცემოდა. ვიცოდი, რომ ძალიან ძნელი იქნებოდა, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, მალე მექნებოდა ის შედეგი, რომლის მიღწევასაც ასე ძალიან ვცდილობდი.

რადგან ლექსების წაკითხვა მიყვარს, გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო უნივერსიტეტში გამართულ ერთ-ერთ პოეზიის საღამოზე. ღონისძიების დროს ისე ვკანკალებდი, ფეხზე დგომაც კი არ შემეძლო. შესაბამისად, არც ისე კარგად შევძელი მისიის შესრულება – ლექსის კარგად წაკითხვა. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ღონისძიება ჩემთვის საბედისწერო გახდა. სტუდენტების, ლექტორების შექება დიდი სტიმული იყო ჩემთვის. ამ ყველაფერმა მომცა ძალა, რომ გამეგრძელებინა მსგავს ღონისძიებებზე მონაწილეობის მიღება, უფრო თავდაჯერებულად და თამამად გამოსვლა სცენაზე. სტიმულს მმატებდა ისიც, რომ ვიცოდი, აუდიტორია ელოდებოდა ჩემს გამოსვლას.

კიდევ ერთმა დღემ ითამაშა ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი – ღამის ორ საათამდე ვმეცადინეობდი, ვამზადებდი სემინარს. მეორე დღეს ლექციაზე ისე ცუდად ვიგრძენი თავი, თვალებშიც კი დამიბნელდა.

– გამოდი, მიქაელიანი!

– არ ვარ მზად დღეს. – იყო ჩემი პასუხი. არადა, სასვენი ნიშნების ადგილებიც კი ზეპირად ვიცოდი. გამბედაობა მაინც არ მქონდა აუდიტორიის წინ გამოსვლის. სულ იმას ვფიქრობდი, როგორ შემიძლია გავიდე ქართველი თანაკურსელების წინ და ჩავაბარო სემინარი ქართულ ენაზე. რაიმე არასწორად რომ ვთქვა? თუმცა, მეორე სემესტრში ნელ-ნელა შევეგუე ყველაფერს. არამარტო დავიწყე სემინარების ჩაბარება, არამედ მეგობრობა თანაკურსელებთან და სხვა სპეციალობების სტუდენტებთან. ზოგი სპორტდარბაზში გავიცანი, ზოგი – ღონისძიების დროს, ზოგი კი ლამაზი თვალების გამო. ასევე, აქტიურად ვიღებ მონაწილეობას შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში.

ერთ დღეს, ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი გულიკო ბექაური მეუბნება:

– მე-14 ადგილზე ხარ, ანა, გილოცავ!

– დიახ!

– იცოდი ამის შესახებ?

– არა!

– რატომ არ გაქვს არანაირი რეაქცია ?

ბედნიერებისაგან ტირილი დავიწყე. სტიპენდიანტი გავხდი.

შრომა დაუფასებელი არასდროს რჩება. დიახ, ლაპარაკი მიჭირდა, მაგრამ არ ვიცოდი სიტყვის – სიზარმაცის მნიშვნელობა. დღე და ღამე თავდაუზოგავად ვმეცადინეობდი. არა მხოლოდ სემინარებს ვსწავლობდი, არამედ დამატებით ვმეცადინეობდი ენის გასაუმჯობესებლად. იმისთვის, რომ გავმხდარიყავი ერთ-ერთი მათგანი, ვინც ქართულად თავისუფლად საუბრობდა, ყველაფერს ვაკეთებდი. არდადეგებზეც კი გრამატიკას ვსწავლობდი, წიგნს ვკითხულობდი, რომ სემესტრის დაწყებისას ერთი ნაბიჯით წინ ვყოფილიყავი.

ბოლოს, იმ დონეზე მივედი, რომ ამ ყველაფრის თქვენთვის მოყოლა გადავწყვიტე.

ნებისმიერი სიძნელე, წარმატებისკენ მიმავალი, ყველაზე სწორი გზაა. როდესაც შევხვდებით ისეთ სირთულეებს, როდესაც გამოსავალი თითქმის არ არსებობს, იცოდეთ, რომ წარმატება არც ისე შორსაა. გადადგი პატარა ნაბიჯი, რომ მიაღწიო დიდ წარმატებას.

ანნა მიქაელიანი
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს!"

პირველ კურსზე ვიყავი, უნივერსიტეტის საამაყო და წარმატებული სტუდენტი - **გაგა გელაშვილი** რომ გავიცანი. სტუდენტის ამპლუასა და მანტიაში ვიყავით გამოწყობილები, თუმცა, დროთა განმავლობაში როლები შეიცვალა და, საერთო სალაშქრო ტურის შემდეგ, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის" მეშვეობით, როგორც რესპონდენტი და ინტერვიუერი, კვლავ შევხვდით.

გაგა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულია. უკვე წლებია, რაც აქტიურად მისდევს მკლავჭიდს და არაერთი ჯილდოს მფლობელია, ჰყავს გუნდიც, რომელიც სხვადასხვა ტურნირში იღებს მონაწილეობას, მათ შორის, ასპარეზობს უნივერსიტეტის სახელით.

მასზე უნივერსიტეტის კედლებში ჯერ კიდევ 2016 წელს გაისმა, უნივერსიტეტის გაზეთი იყო მისი მიღწევის მაცნე, როდესაც უნივერსიტეტში ჩატარებული ჩემპიონატი მოიგო... ამავე წელს გახდა სჯსუნი-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და წარმატებულ სპორტულ კარიერას სტუდენტობის საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება შეუთავსა. ბევრი აქტივობით, პროექტით, საინტერესო ისტორიითა და ამბით აღსავსე სტუდენტობის ოთხი წელი კარგ მოგონებად აღებეჭდა გონებაში. გულდაწყვეტით შენიშნა – სტუდენტობა ის დროა, როდესაც ადამიანს ყველაზე მეტი თავისუფალი დრო აქვსო. ალბათ, ეს ის თავისუფალი დროა, რომლის ფასსაც ძალიან გვიან ვხვდებით... იგი მოსწავლეებს ურჩევს, არავითარ შემთხვევაში არ თქვან უარი უნივერსიტეტში სწავლასა და იმ გამოცდილების მიღებაზე, რომელიც ახლავს. მისთვის ამ პერიოდში დაგროვებული ურთიერთობები და შეძენილი მეგობრები ის მონაპოვარია, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება გზად და ხიდად.

მკლავჭიდში ბედი აბიტურიენტობისას მოსინჯა, როდესაც კლასელის თხოვნით (რომელიც იმ დროს მათ სკოლაში ხელს ყველაზე კარგად წევდა), 26 მაისს გამართულ ჩემპიონატზე მივიდა, სადაც წარუმატებლობა იწვნია. თუმცა, მოვლენა, რომელიც თითქოს მარცხი უნდა ყოფილიყო, მან სტიმულად აქცია და გადაწყვიტა, მიზანს მიჰყოლოდა და დაწყებიდან ერთი წლის თავზე ახალციხის ჩემპიონი გახდა, რამაც ბრძოლის ჟინი გაუთკეცა. როდესაც სპორტის ამ სახეობაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, არ ჰყავდა მწვრთნელი, შეჯიბრებებისა და ჩემპიონატებისთვის საკუთარი სახსრებით, დამოუკიდებლად და გაწერილი პროგრამის გარეშე ემზადებოდა. მხოლოდ სტიმული, თვითრწმენა და მოტივაცია ჰქონდა იმისთვის, რომ არ გაჩერებულიყო. ხუმრობით აღნიშნა, თავიდან ფიზიკური მონაცემებიც კი არ გამაჩნდა ამ ყველაფრისთვისო. ოთხი წელი ინდივიდუალურად ემზადებოდა და ცდილობდა ფორმაში ყოფილიყო, ხოლო როდესაც პროცესში პროფესიონალი მწვრთნელი ჩაერთო და დაეხმარა, ყველაფრისთვის უფრო სისტემატური სახე მიეცა, მეტად მასშტაბური ჯილდოების მოპოვებისთვის, წარმატებით გააგრძელა სვლა — 2021 წელს პირველ მსოფლიო საერთაშორისო ტურნირზე გავიდა და მესამე ადგილი დაიკავა. ღიმილიანი სახით დასძინა, ემოციური ფაქტორი რომ არა, ვიცი, ფინალში გადავიდოდი და მოწინააღმდეგეს დავამარცხებდიო.

ამ დროისთვის მას უკვე ჰყავდა მოსწავლეები და ჰქონდა პატარა დარბაზი, სადაც მომავალ ჩემპიონებს ზრდიდა. მესამე ადგილის დაკავების შემდეგ ჩვევას არ უღალატა და დასახული მიზნისთვის ბრძოლა ახალი შემართებით გააგრძელა, 2022 წელს კოსოვოში ევროპის თასის ჩემპიონატი მოიგო.

გუნდი, რომელიც იმ დიდ ოჯახად აქცია, სადაც ყველა ყველას ამხნევებს, მხარს უჭერს, საკუთარი თავის რწმენას უღვივებს და ეხმარება, წინ დაუღალავად და დიდი შემართებით მიიწევს. ბიჭები სპორტულ მიღწევებთან ერთად, საკუთარ საიხარულსა თუ წუხილს უზიარებენ, გაგა მათთვის არა მარტო მწვრთნელი, არამედ უფროსი მეგობარია. მოსწავლეების ყოლაზე არასდროს უფიქრია და უოცნებია, თუმცა, როდესაც საჭიროება დაინახა და მიხვდა, რომ შეიძლებოდა არსებული პოტენციალი დაეკარგათ, გადაწყვიტა, მათთვის უანგარო დახმარების ხელი გაეწვდინა, მათთვის თავისუფალი სივრცის შექმნის დიდი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და ყოველდღიურად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მთავარი მიზნის სიძლიერეა, ხოლო სხვა ყველაფერი შესაძლებელი. საბოლოო ჯამში იგი არა ერთი ახალგაზრდისა თუ ბავშვის სტიმულად, მოტივატორად და ცოცხალ მაგალითად იქცა.

ახალგაზრდას, ვინც ცხოვრების კრედოდ სხვებისთვის ცოდნის უსასყიდლოდ გაზიარება აირჩია, ქუჩაში გავლისას მოქალაქეები ცნობენ, ესალმებიან, კითხულობენ, ბევრს საუბრობენ და მსჯელობენ, განიხილავენ მის სპორტულ კარიერასა და შესაძლებლობას. ამაყობს საკუთარი მოსწავლეების წარმატებით და დროებით შეწყვეტილ სპორტულ კარიერასაც ამას უკავშირებს, სურს მთელი თავისი რესურსი იმ ბიჭების განვითარებაში ჩადოს, ვინც ქვეყნისა და რეგიონის მომავალია. თავად აქამდე მოსასვლელად რთული გზა გამოიარა, თუმცა, გამოიწრთო, გაძლიერდა და ის უნარები შეიძინა, რომელიც სირთულის გადალახვაში ეხმარება.

თავდაპირველად მშობლები, მის ჯანმრთელობასთან ერთად, იმ საკვებ დანამატებზე ღელავდნენ, რომლის მიღებაც ვარჯიშის თანმდევი და განუყოფელი ნაწილია. მის მნიშვნელოვან მიღწევათა შორის არის ისიც, რომ მოსწავლეების მშობლებს უპირობო ნდობა აქვთ გამოცხადებული და მიაჩნიათ, რომ როგორც გაგა იტყვის, ისე უნდა გაკეთდეს, რათა სასურველი შედეგი დადგეს.

გაგასთვის ყველაზე ავთენტური და ღირებულია თვითრწმენა, რომელიც გააჩნია, გარემო, რომელიც მის სოციუმს ქმნის და მშობლები, ვინც ყველაფერში ენდობიან და ყოველთვის მის გვერდით არიან. ეს სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი აძლევს ძალას, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ბოლომდე იბრძოლოს.

მისი ყველაზე დიდი მხარდამჭერი მისი უფროსი და, შორენა იყო, რაზეც თავად საუბრობს: **მშობლების მესმის, გასაგებია მათი ფაქტორი, სულ რაღაც მქონდა დაზიანებული, ხან მყესი გაწყვეტილი, ხან ძვალი გაბზარული, ნერვიულობდნენ... მეუბნებოდნენ, გაჩერდიო, მაგრამ ჩემი უფროსი და შორენა სულ მამხნევებდა. ახლაც ასეა, მეუბნებოდა, მიდი გაგა, მე მჯერა შენი, გამოგივა, შენში იმდენი ემოციაა, შეძლებო. დღესაც ასე სჯერა და სწამს ჩემი.**

როდესაც ის ემოცია გაიხსენა, რომელიც დაეუფლა მსოფლიოს არაერთ ქვეყანას შორის საქართველოს მონაწილეობისას, ემოციების ის მორევი დატრიალდა ირგვლივ, რომლის განცდასაც ყველა სპორტსმენს უსურვებს. მართლაც, არის მომენტები და განცდები, რომელიც უნდა გამოცადოს ადამიანმა, რათა გაიგოს.

რეგიონში დარჩენასა და საქმიანობის აქ გაგრძელებას გაგასთვის თავისი მიზეზი აქვს, შეიძლება თბილისში მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა, მაგრამ ფიქრობს, რომ თუ ადამიანს უნდა, ყველგან შეძლებს, არც იმით არაფერი გამოვა, რომ ყველა ახალგაზრდა წავიდეს რეგიონიდან და დაიცალოს კუთხე.

2020 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა, თუმცა არ დაშორებია უნივერსიტეტის სივრცეს, გარემოს, სადაც დღემდე აქტიურად განიხილავენ მის ახალ-ახალ წარმატებასა და მიღწევას. ღიმილით იხსენებენ და სჯერათ მისი. ლექტორებს, პროფესორებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს გაგას მიმართ სტუდენტობისდროინდელი სიყვარული და რწმენა დღემდე მოჰყვებათ. ახალგაზრდა სპორტსმენის მოღვაწეობა ზუსტად ეხმიანება უცნობი ავტორის ბიბლიიდან ამოღებულ და გავრცობილ ფრაზას : „ტრაბახსა და ბაქიაობას ის სჯობია, საქმემან შენმან გამოგაჩინოს". ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ სათქმელს საქმით ამბობს.

გაგას დიდი გზა აქვს გასავლელი, სათქმელს ბოლომდე იტყვის, თუმცა, ყველას ურჩევს, განათლებას მეტი დრო და ენერგია დაუთმონ: **ალბათ, მე რომ უკან დავბრუნდე, ყველაზე დიდ დროს სწავლას დავუთმობდი. ყველაზე მაგარი ის არის, როდესაც ადამიანი თან წარმატებული სპორტსმენია, თან ძალიან განათლებული, ეს იდეალურია. მომავალ სტუდენტებს ვურჩევ, უნივერსიტეტში ჩაბარებამდე კარგად დაფიქრდნენ, სად უნდათ სწავლა, რადგან მთელი რესურსი და ემოცია ამ საქმეს უნდა მოახმარონ, მასში უნდა ჩადონ. დღეს ქვეყანაში კვალიფიციური კადრები გვაკლია, ყველა მიმართულებით, ისინი საკუთარი პროფესიონალიზმით ქვეყანასა და რეგიონს უნდა გამოადგნენ.**

ნატალია ვარდიძე
ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

პოეზია

მარიამ საანიშვილი
ინგლისური ფილოლოგიის I კურსის სტუდენტი

* * *

ის მწუხარებაც შემყვარებია,
ღამე ფიქრებში შემოპარული,
სითბოში ცივი სხეულით ვწევარ,
მდუმარე ლხინში ვყავარ ჩაფლული.

შავიდან მიცქერს ცხოველმყოფელი,
აღსარებისთვის შორიდან მიხმობს,
პირგაკერილი გზას გავუყევი,
კვლავ მარტოობის მსხვერპლი ვარ
თითქოს.

თეთრი სხეული მზერით მორთული,
ცრემლთა მორევში იხრჩობა ჩუმად,
სამარადისო იმედს მოელის,
უკანასკნელი სიტყვით თავს კურნავს.

შემყვარებია სული ნაზარდი,
სათუთი როგორც ღრუბელი ცაში,
მერმისი მიმზერს წარბგადახსნილი,
მე მიუსაფარს მიძღვება ქარში.

არც ძალით ჩემით არ დაძლეულა,
დუმილი დარდით აღსავსე ვიცან,
სადღაც ხმაური კვლავ გაიძახის:
„გზაბნეულო, თავი შეიცან“.

ღმერთის თვალი

ნუ გგონია არვინ გიმზერს,
როცა მარტოდ ბნელში ზიხარ,
ნუ ივიწყებ ცქერას ღვთისას,
როცა ცოდვებს ყიდი სხვისად.

სადღაც ბოლოს სამჯერ იტყვი,
რომ სარწმუნო წმინდანს ფიცავ,
მსახურებას ითხოვ ისევ,
სამსჯავროზე ღმერთს შეჰფიცავ.

ანგელოზებს ცრემლი მოსდით,
ეშმაკნი კი ხარხარებენ,
მსაჯულები ვერ ისმენენ,
რასაც კეთილნი ამბობენ.

მე შენ გეტყვი, ნუ მოელი,
სიბრალულს და პატიებას,
ევასაც კი არ ჰქონია,
შეცოდება მამაღვთისგან.

როცა თვალი თვალს შეხვდება,
ცრემლი გაგცემს წარსულისა,
როცა სხეული დაშრება,
სული იფრენს მომავლისა.

არ გეგონოს ზეცა გფარავს,
ფარულია თავად ღმერთი,
თუ გეზმანა, ნიშანია,
უკან გიდგას, გფარობს ერთი.

დაჩოქილი ევედრები,
ფიქრში ეძებ გზას დასახსნელს,
თუმცა, იგი ფიქრთმკითხველი
მოგიზღვევს შენს მსგავს განსაცდელს.

უმზერს ადგილს, სადაც კია,
კაცის ბინძურ ფეხი დგმული,
თუმცა, კვალი იქით მიდის,
სადაც იშვა ზეცის გული.

* * *

ჯერ პირველი საათია,
მე კი ისევ სანთელს ვუცქერ,
როგორ დნება ეს საბრალო,
დავემგვანე მის ცრემლს უცებ.

უკვე ორი საათია,
უიმედოდ ვზივარ ბნელში,
თვით სიკვდილსაც შერცხვენია,
მომაკითხოს საფარველში.

უკვე სამი საათია,
ჩემს გულს დარდი მოხდენია,
შემოსილა შავ ფერებში,
მთვარის ჩრდილში უთევია.

უკვე ოთხი საათია,
ორჭოფობამ დრო დალია,
სარკის წინ მდგარს ვიღაც მიმზერს,
უკან ფრთები მოჰფენია.

უკვე ხუთი საათია,
ისევ სევდა მომრევია,
ანარეკლი მიხმობს უხმოდ,
სადღაც შორს მე მომელიან.

უკვე ექვსი საათია,
ზარმა რეკა შორიახლოს,
მე მივდიე ამ ხმის ავტორს,
უკანასკნელს ნისლი აპობს.

ახლა შვიდის წუთებია,
ის ზღუდეზღვა გადავლახე,
რომლის მიღმაც იმედია,
ჩემი თავი იქ ვიხილე,
სადაც უცხოს მოელიან.

უკვე შვიდი საათია,
ახლად იშვა მაძებარი,
ტანზე ნიშნით ნაპყარია,
მას მიეძღვნა სახელ-გვარი,
უფლის ხელი აფარია.

გარიგება ქარონთან

(მითოლოგია)

ღამეს ესტუმრა მნათობი ცისა,
შავი ზღვის ლანდმა აუწყა მისანს,
ქარონმა ნავი ღრმა ტალღებს მისცა,
მდუმარე ქარში მგზავრის კვალს
მიჰყვა.

სტიქსზე დაეშვა მენავის ჩრდილი,
მოხუცებული ვერცხლის გროშს
ითვლის,
ღარიბს უარყოფს, მდიდარს თვალს
უხვევს,
მარბენალ წყალში ნიჩბებს ღრმად
უსმევს...

მონა ჰადესის, სულებს გზას უხსნის,
ცოცხლებს არ უცდის, მკვდრების ხმა
ულხინს,
ღამის შვილია, ქვესკნელის მკვიდრი,
მრავალ ცოდვილი საფასურს იხდის.

თეთრწვერას ტვირთი მძიმეა სულით,
ის ვინც მიეძღვნა უხილავს ხილვით,
მიექანება წყვდიადის პირში,
იმ კაცთამჭამელის სანატრელ ფიქრში.

წლების შემდეგ ახდენილი ოცნება

„განათლება არის სადღესასწაულო კაბა ცხოვრების წვეულებაზე დასასწრებად“. – ამბობდა მიგელ როხას სანჩესი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის სტუდენტმა თინათინ ბერიძემ, „სადღესასწაულო კაბა“ ორჯერ მოირგო. პირველად, როდესაც პატარა ასაკში შექმნა ოჯახი და საუკეთესო დედის ამპლუაში მოგვევლინა (თინათინი სამშობლოს ორ ვაჟკაცს უზრდის), მეორედ, როდესაც გადაწყვიტა, ცოდნის ლამაზ და მშვენიერ სამყაროში შესულიყო და „შეექმნა საკუთარი თავი“ ამ მიმართულებით. ოჯახზე, შვილებზე, ახლობლებზე, მეგობრებზე შეყვარებული თინათინი არის ცხოვრების იმ ხანაში, რომელიც არასოდეს წაიშლება მისი მეხსიერებიდან. ოცნებობს, წარმატებით დაამთავროს სწავლა და მისივე სპეციალობით გააგრძელოს მუშაობა. გვეუბნება, რომ უყვარს წიგნების კითხვა, აქვს მიზნები და სურვილები. ამ სურვილების ასრულებისთვის არ ზოგავს დროსა და ენერგიას.

გაგაცნობთ პროფესიული პროგრამის კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალობის სტუდენტს თინათინ ბერიძეს.

– თინათინ, წარმოგვიდგინეთ თავი.

– 37 წლის ვარ. დავიბადე ქუთაისში. შემდეგ, ოჯახით საცხოვრებლად ჯავახეთში გადავედით. სოფელ ჩუნჩხაში გავატარე ჩემი ბავშვობა. ძმასთან ერთად ვიზრდებოდი. ჩვენს დროს არ იყო იმისი ფუფუნება, რომ ოცნებები ასე ადვილად აგვეხდინა, როგორც დღევანდელ თაობას აქვს. ადრეულ ასაკში შევქმენი ოჯახი, გავზარდე ორი ვაჟკაცი, ამიტომ, სწავლისთვის ცოტა გვიან მოვიცალე. ჯავახეთში მდებარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, აქ არსებულ პროფესიულ პროგრამაზე ჩამებარებინა და მიმეღო განათლება.

– გვესაუბრეთ თქვენ მიერ არჩეული სპეციალობის შესახებ. სამომავლოდ, სად ხედავთ თქვენს თავს?

– ყოველთვის მაინტერესებდა კომპიუტერული ქსელები, რადგან ერთ-ერთი საჭირო და მოთხოვნადი სპეციალობაა. საინტერესოა კომპიუტერული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა, როგორიც არის მისი აწყობა, დიაგნოსტირება და მონაცემების გაძლიერება. აგრეთვე, მომწონს პრეზენტაციებისა და დიზაინის კუთხით მუშაობა. სამომავლოდ ჩემს თავს ვხედავ დიდ კომპანიაში, ჩემს თანაკურსელებთან ერთად, მაგალითად, კომპიუტერული ქსელები, ლექტორები. იმდენად საინტერესო აღმოჩნდა სწავლის პროცესი, საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნდა. ფიქრი მქონდა – წლების მერე მიმიღებდა თუ არა უნივერსიტეტის კედლები, გაიღებოდა თუ არ ჩემთვის კარი?! მაგრამ ყველაფერი მშვენივრად აეწყო.

უნივერსიტეტში ჩემი დღე იწყება თანაკურსელებთან შეხვედრით, საინტერესო და ნაყოფიერი ლექციებით, რაც უფრო მეტად საინტერესოს ხდის სწავლის პროცესს. შეძლებისდაგვარად, ვმონაწილეობ ღონისძიებებშიც. საოცარი თანაკურსელები მყავს. თავიდან ცოტა მეშინოდა, როგორ მიმიღებდნენ. შიში იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი ჩემი შვილების ასაკის არიან... მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა მათთან ურთიერთობამ.

– შვილთან ერთად ხართ სტუდენტი. რა განცდაა, როდესაც დედა-შვილი ერთად დადიხართ უნივერსიტეტში? მოგვიყევით თქვენს ოჯახზეც.

– ის, რომ ჩემს შვილთან ერთად დავდივარ უნივერსიტეტში, საოცარი შეგრძნებაა. ჩემი შვილი – ალიკა ბერიძე, ბუღალტრული აღრიცხვის სტუდენტია. ერთმანეთს ვუზიარებთ მიღებულ ცოდნას. მის გვერდით ამაყი ვარ, ის კი ჩემით ამაყობს. მეხმარება სწავლის პროცესში, უფრო მეტად ინგლისური ენის სწავლაში. უნდა გითხრათ, რომ ჩემმა შვილებმა მომცეს ძალა და მოტივაცია (უმცროსი აბიტურიენტია), რომ შევძლებდი ყველაფერს. ასევე, დიდი მხარდაჭერა მაქვს მეუღლის მხრიდან. სამი ვაჟკაცით მოვედი უნივერსიტეტში და აქედან ჩვენ წარმატებულები გავალთ.

– დროს თუ უკან დააბრუნებდით, შეცვლიდით რამეს?

– არაფერს შევცვლიდი, რადგან ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, როგორც უნდა ყოფილიყო. მინდა ახალგაზრდებს ვუთხრა, იბრძოლონ საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის, რადგან სწავლა ერთადერთია, რაც გვეხმარება საკუთარი თავის დამკვიდრებაში.

– გისურვებთ წარმატებებს და ყველა სურვილის ასრულებას.

– მადლობა.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

ინტერვიუ მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებთან – ანა ხუბუტიასა და ლექსო ჩემიასთან

„მაყურებელი და მსახიობები სპექტაკლზე გრძნობებით ურთიერთობენ“

– სტანდარტული კითხვით დავიწყოთ, რამდენი ხანია, რაც სამსახიობო კარიერას მიჰყვებით?

– **ლექსო:** ბავშვობიდან, ალბათ, ექვსი წლიდან. თავიდან სამოყვარულო სტუდიით დავიწყე და მას ჩემდეგ ჩემი გონება და საქმეც თეატრთან ასოცირდება.

– **ანი:** 12 წელია, რაც მესხეთის თეატრში ვთამაშობ. ლექსო რომ მოვიდა მოწვევით, მაშინ დავიწყე მუშაობა „მესხეთის დრამატულ თეატრში“. პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, სამსახიობო განათლება არ მაქვს.

– გაქვთ ისეთი როლი, რომლის თამაშიც არ გბეზრდებათ და მუდამ პოულობთ საკუთარ თავს?

– **ლექსო:** რაღაცნაირად ისე დაემთხვა ჩემს ცხოვრებაში, რომ სულ გმირის ან ისეთი როლის თამაში მიწევდა, რომელზეც შეიძლება ნებისმიერმა მამაკაცმა არტისტმა იოცნებოს. ალბათ, გამართლებასაც დავარქმევ ამას ჩემს ცხოვრებაში. არის რამდენიმე როლი, რომელიც განსაკუთრებით და გამორჩევით მიყვარს, თუმცა, რომელს ვითამაშებდი სულ, მიჭირს მაგის თქმა. რამდენიმე ძალიან მეძვირფასება, თუნდაც, ჯოყოლა „სტუმარმასპინძლიდან“; სტარბაკი – „წვიმის გამყიდველიდან“, ასევე, „მოპარული სიყვარულის“ მიხაელო. მართალია, ის უარყოფითი პერსონაჟი და ბრუტალური ტიპია, თუმცა, ჩემს თეატრალურ კარიერაში პირველი უარყოფითი გმირი იყო. ალბათ, ამიტომაც მიყვარს გამორჩეულად. თითოეული პერსონაჟი დიდი შრომის შედეგია, მასში სულიერსა და ფიზიკურს ერთიანად დებ, ამიტომ მეტ-ნაკლებად, ყველა ძვირფასია.

– **ანი:** მიჯაჭვულობა არცერთი როლის მიმართ არ მაქვს, არც ის, რომ რომელიმეს სულ ვითამაშებდი. ჩემთვის ეს ერთი მთლიანი პროცესია, რომელიც სამაგიდო ეტაპიდან იწყება და პრემიერით მთავრდება, სულ ცოცხლობს, სულ არის. ყველას თავისი ხიბლი აქვს.

– ალბათ, გქონიათ როლები, რომელიც თავიდან რთულად მოგჩვენებიათ, თუმცა, წარმატებით გითამაშიათ. რა გაძლევთ ასეთ დროს ინსპირაციას?

– **ანი:** ასეთი იყო ბოლო სპექტაკლი – „გემრიელად მიირთვით“. პიესა რომ წავიკითხე, ქალში, რომლის როლიც უნდა მომერგო, ჩემი თავი ვერ დავინახე, როგორც მსახიობმა. ძალიან რთული ხვედრის მქონე ქალი უნდა განმესახიერებინა. თავიდან თითქოს დავფრთხი და შიშით მოვეკიდე, თუმცა, ბოლოს მივხვდი – როდესაც რეჟისორის დავალება გეძლევა, თუ საკუთარ თავზე საკმარისად იმუშავებ, გამოგივა. შეუძლებელია, არ გამოგივიდეს, გმირის შესაქმნელად ყველა დეტალის გაანალიზებაა საჭირო. პერსონაჟი ჯერ გონებაში იქმნება.

– **ლექსო:** არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ მე არ მივეკუთნები იმ არტისტების რიგს, ვინც როლებს კარგ და ცუდ როლებად ახარისხებს. პირველ შთაბეჭდილებას, რაც გონებაში მომდის, მივყვები და ვძერწავ. არასდროს ყოფილა, მთელი კარიერის განმავლობაში, რომ პერსონაჟზე დამეწყოს მუშაობა და მერე შემეცვალოს. ჩვენ დღის განმავლობაში იმდენჯერ ვრეპეტიციობთ, რომ ცივი გონებითა და ტექნიკური შესაძლებლობებით მირჩევნია შევქმნა, ჩემი თამაშით მაყურებელს მივცე საშუალება, ისიამოვნოს. მირჩევნია მათემატიკურად და ტექნიკურად ავაწყო როლი და მომზადებული წარვუდგინო მაყურებელს, ისეთი დამაჯერებელი ვიყო, რომ მას გაუჩნდეს განცდა, ნაცვლად იმისა, მე მივეცე ტკბობას.

– როგორ შეაფასებდით, ცხოვრებაში უფრო ხშირია თამაში და როლის მორგება თუ თეატრში?

– **ლექსო:** ალბათ, ყველა ადამიანი რაღაც როლს ვთამაშობთ. როგორებიც ვართ დედასთან,



მამასთან, შვილთან, მეორე ნახევართან, რადიკალურად განსხვავებულები ვართ სახლის ზღურბლს მიღმა. ცუდი არ არის, მორგებულია იმ იდეალური ადამიანის ტიპაჟზე, ვინც გვინდა, რომ ვიყოთ.

პირადად მე იმდენად დიდი ხანია ვთამაშობ სცენაზე, მირჩევნია რეალური ვიყო, სხვა შემთხვევაში ძალიან ბევრი იქნებოდა ყველგან თამაში.

– **ანი:** ყველა ვთამაშობთ, თუმცა, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე, ნატურალიზმი ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე ხელოვნური როლი მოირგო და ითამაშო. მე ასეთი ვარ.

– თუ გაქვთ ისეთი როლი, რომელზეც ბევრს ფიქრობთ, თუმცა, არ გითამაშიათ?

– **ანი:** არ მაქვს ისეთი როლი, რომლის თამაშზეც ვიოცნებებდი, პიესიდან გამოდინარე მოდის როლი. უნდა დაგაინტერესოს პიესამ, ამბავმა, მერე მნიშვნელოვანია რეჟისორი. თუ კარგ დადგმაში არ თამაშობ, სულ რომ ყირაზე დადგე, არ აქვს აზრი, არ გამოვა. მეორეს მხრივ, შეიძლება რეჟისორთან ისე კარგად იმუშაო და ისეთი უტექსტო პერსონაჟი შექმნა, ბევრ სახელწოდებიანს გერჩივნოს. ეს ყველაფერი მთლიანი პროცესია.

– **ლექსო:** შექსპირის ჰამლეტი... ბევრ სცენაზე ვმდგარვარ, თუმცა ჰამლეტი არ მითამაშია. ვფიქრობ, კარგი ჰამლეტი ვიქნებოდი და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს, ჩემი სათამაშო როლი იყო. მესხეთის დრამატულ თეატრში 12 წელია დასის წევრი ვარ და ჯერჯერობით არ დადგმულა. იმედია, გამოსწორდება. უკვე 37 წლის ვარ და ნელ-ნელა მემშვიდობება, თუმცა, პირობას გაძლევთ, რომ თუ თამაშით – ვერ, როცა დრო მოვა, აუცილებლად დავდგამ უილიამ შექსპირის „ჰამლეტს“.

– რა არის ის მთავარი ჯილდო, რომელიც ამ პროფესიას მოაქვს?

– **ლექსო:** ყველანაირი ჯილდო და აღიარება მნიშვნელოვანია, კარგია, ეს ჩვენი პროფესიის თანმდევია და სასიამოვნო, თუმცა, პირველი მაინც ხალხის სიყვარულია. როდესაც მაყურებელს უყვარხარ, შენს გამო მოდის თეატრში, ყიდულობს ბილეთს და გამონახავს დროს, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს მსახიობისთვის, ამას ჩემთვის მაყურებლის სიყვარული ჰქვია.

– **ანი:** ყველაზე დიდი საზომი მაყურებელია. პრემიერის შემდეგ, სადაც უნდა წავიდე, ყველგან ვგრძნობ დამოკიდებულებას, შეხვედრისას როგორი ემოციები აქვს მაყურებელს; ამის მიხედვით ვხვდები, რამდენად კარგი იყო ჩემი შესრულებული როლი, როგორი გამოვიდა სპექტაკლი. მესხეთის თეატრის მაყურებელი არასდროს არ ცდება, ყოველთვის ზუსტად აფასებს. როდესაც უცხო ადამიანები გწერენ სოციალურ ქსელში – ვიცინეთ, ვიტირეთ, როგორი კარგი იყო... ეს ყველაფერია. ჩვენ, მსახიობები, ამისთვის ვმუშაობთ და იმის გაგება, რომ ხალხმა ზუსტად გაიგო შენი სათქმელი და ეს შენამდე მოდის, ყველაზე დიდი ჯილდოც სწორედ ესაა ამ პროფესიაში.

– თუ გაქვთ ან გქონიათ ისეთი როლი, რომელიც თქვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცა?

– **ანი:** ეს შენი პროფესიაა, ამას აკეთებ, მაგრამ ყველა პროცესს რეპეტიციისას გადიხარ და ეს მოვლენები შლეიფად აღარ გასდევს მთელს ცხოვრებას. სპექტაკლზე მუშაობის, პერსონაჟის გამოძერწვის ერთთვიან პერიოდში ხდება ემოციების ცვალებადობა. პრემიერისას ეს ყველაფერი გონებას უკვე დამახსოვრებული აქვს და შემდეგ დანიშნულ სპექტაკლებზე თავისით მოდის. ჩემთან ასე არ არის, სულ არ დამყვება.

– **ლექსო:** პრემიერის შემდეგ, დანიშნულ სპექტაკლებზე ვცდილობთ, ის ემოციები გვქონდეს, რაც რეჟისორმა შემოგვთავაზა, არც მეტი, არც ნაკლები. საჭიროა, ის თამასა იყოს მუდამ, რაც პრემიერისას იყო, თორემ, მუდამ თან დაგვდევდეს სპექტაკლის ლანდი და ემოცია, ასე არ არის. ჩემთვის ეს არის საქმე, პროფესიონალიზმი მოითხოვს – დღეს მკვლელი ხარ, ხვალ მასხარა, უნდა მოირგო, არ უნდა ჩარჩე როლში.

– რთული იყო გაანალიზება იმისა, რომ როდესაც როლი მორჩება, მას თან უნდა გაჰყვეს მისი გრძნობა და ემოცია?

– **ანი:** ყველაფერი პრაქტიკამ მოიტანა, პროცესის გავლასთან ერთად სწავლობ. სულ სხვადასხვა რეჟისორთან გვქონია ურთიერთობა და ამ ყველაფრისგან ბევრს სწავლობ, წლების გამოცდილებასთან ერთად ახარისხებ.

ბოლო პრემიერის ემოციებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, ალბათ, კიდევ მჭირდება რამდენიმე წელი. საკუთარ ცხოვრებაში არ უნდა გადმოიტანო პერსონაჟი.

– **ლექსო:** ჩემი პირველი ამოცანაა მაყურებელს უფრო და უფრო მეტი შევთავაზო. მსახიობი სულით მეამბოხე და მებრძოლი თუ არ არის, თუ დაიჯერებს, რომ მოვრჩი, ვისწავლე, მთავრდება მასში არტისტიზმი.

– ჰიპოთეზა, რომ კომედია უფრო რთული სათამაშოა, ვიდრე დრამა, რამდენად რეალურია?

– **ლექსო:** კარგი როლის კეთება ნებისმიერ ჟანრში რთულია, თუმცა, ზოგადად კომედიის თამაში უფრო რთულია. ეს არ უნდა დაემსგავსოს შოუს, ეს უნდა იყოს მიზანში გარტყმული გემოვნებიანი ხუმრობა.

– **ანი:** როდესაც თამაში დავიწყე, კომედია ძალიან მსიამოვნებდა, თან მიმარტივდებოდა. მითხრეს, კომედია ბევრად რთულიაო, მაშინვე ვერ გავიაზრე, რატომ იყო ასე. დროთა განმავლობაში გავაანალიზე, რომ ზღვარია. არ უნდა აირიოს სხვა ჟანრში, არც „შაბათის შოუ“ არ უნდა იყოს, ალბათ, ამიტომ ამბობენ, რთულიაო. თუმცა, თუ პერსონაჟს კარგად გაიაზრებ, მაშინ არ გადაცდები. ჩემი აზრით, დრამა უფრო რთულია, აქ ვერ იტყუები.

– გქონიათ ისეთი სირთულე, რომელმაც, საკუთარი სიმძიმიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად გაგაძლიერათ?

– **ლექსო:** მარცხი არ მიყვარს და ვცდილობ, ნებისმიერი სირთულე ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენო. ჩემი ცხოვრება ასეთია, სირთულე არის გამოცდილება, რომელიც მაძლიერებს. ახლა უკვე საკუთარ თავსა და ნერვებს ვუფრთხილდები, ისე აღარ განვიცდი რაღაცებს. არავინ არ მყოლია, ვინც ხელს გამომიწვდიდა და გზას გამაგრძელებინებდა. ვამაყობ, რომ ყველაფერს ჩემი შრომით, ენთუზიაზმითა და ნიჭით მივაღწიე.

– **ანი:** ვერ ვიტყვი, რომ ხელის ჩაქნევის მომენტი მქონდა, ერთი პროფესიიდან მეორეში გადავედი იმიტომ, რომ მომწონდა და მსიამოვნებდა. აქ ბევრი სირთულეა, შორიდან მარტივი ჩანს, თეატრს შეუძლია ზენიტში აგიყვანოს, ან ჩაგყლაპოს. აქ ყოფნას მენტალური სიძლიერე სჭირდება. სულ ვამბობ, ადრე თუ გვიან, ყველას დრო მოდის და როცა შენი დრო მოვა, მაშინ უნდა თქვა სათქმელი და დაამტკიცო; შეიძლება 10 წელი არ მოდიოდეს, მაგრამ მე-11 წელს აუცილებლად მოვა.

– რას ურჩევდით ახალგაზრდებს, ვისაც მხარს არ უჭერენ, თუმცა, საკუთარი თავის სწამთ?

– **ანი:** რისი ნიჭიცა და ოცნებაც აქვს ადამიანს, იმას უნდა გაჰყვეს. შეიძლება მარკეტინგულად სწორი გათვლა, ფინანსურად მომგებიანი არ იყოს, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ვითარდება, წინ მიდის და შემდეგი თაობის მდგომარეობა უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ჩვენია. იმ საქმეში უნდა იყო, რაც ბედნიერებას განიჭებს.

– **ლექსო:** ჩვენს ქვეყანაში მთავარი პრობლემა ის არის, რომ ავიწყდება ადამიანს, გოგოს, ბიჭს, მოზარდსა თუ ბავშვს, რა უნდა. თითქოს მთავარი ის არის, მშობელს რა უნდა. ხათრითაც რომ აირჩიოს ადამიანმა გზა, ბოლოს მაინც იქით წავა, საითაც თვითონ უნდა. რჩევის მიცემა და სულში ხელების ფათური სხვადასხვაა. ჩვენ ჩვენი საფიქრალი დრო და გასაკეთებელი გვქონდა, გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი. ახლა ახალგაზრდა თაობას უნდა მივცეთ საშუალება, თუნდაც, მოიტეხოს რქები, მაგრამ გაიგოს, რა გამოსდის, რა – არა.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი
რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ კორტი, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, ვარსენიკ ვართანიანი, თენგიზ მელიქიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge